საქმე №2/20054-22

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

18 იანვარი, 2024 წელი **თბილისი**

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - თინა ვაშაყმაძე

სხდომის მდივანი - თორნიკე კალანდაძე

მოსარჩელე - იმედა დარსალია
წარმომადგენლები - თეონა ზაქარაშვილი, ვიქტორ კვიტატიანი, გიორგი ქუმსიაშვილი

მოპასუხე - სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი
წარმომადგენელი - ანდრო კიკნაველიძე

დავის საგანი - გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის №105-კ ბრძანება, იმედა დარსალიას სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების გადაცემა - „ახალი კვირის“ წამყვანის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

1.2. დაევალოს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მოსარჩელე - იმედა დარსალიას სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების გადაცემა „ახალ კვირაში“ წამყვანის თანამდებობაზე აღდგენა;

1.3. სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს იმედა დარსალიას სასარგებლოდ დაეკისროს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, გათავისუფლებიდან, კერძოდ, 2022 წლის 01 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე, ყოველთვიურად დარიცხული - 4375 ლარის ოდენობით;

1.4. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიექცეს დაუყოვნებლის აღსასრულებლად.

(იხ. სასარჩელო მოთხოვნა, ტომი 1, ს.ფ.14-38).

სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

იმედა დარსალია სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებული იყო 2017 წლის 20 აპრილიდან - 2022 წლის 01 მაისამდე უწყვეტად, სხვადასხვა პოზიციებზე. მხარეთა შორის 2020 წლის 30 ივნისს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ დაიკავა ახალი და მიმდინარე ამბების პროექტ - „ახალ კვირაში“ წამყვანის პოზიცია. მისი შრომის ანაზღაურება შეადგენდა ყოველთვიურად დარიცხულ 4375 ლარს.

2021 წლის 28 დეკემბერს მოსარჩელისთვის ცნობილი გახდა, რომ სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების გადაცემა - „ახალი კვირის“ რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო, კერძოდ, თათბირზე შეიტყო, რომ გადაცემა ფორმატს იცვლიდა, გადაცემას აღარ ეყოლებოდა ერთი წამყვანი და ყველა ჟურნალისტი ხდებოდა წამყვანი. ამასთან, გადაცემა 2021 წლის 28 დეკემბრის შემდეგ ეთერში აღარ გასულა.

მოსარჩელეს რეორგანიზაციის პერიოდში, მოპასუხის გადაწყვეტილებით არ ეძლეოდა შესაძლებლობა შეესრულებინა მისი პროფესიული მოვალეობა.

2022 წლის 28 ნოემბერს, ახალი კვირის ეთერში გასული რეპორტაჟის „ალტ-ინფოს სახიფათო იდეოლოგია“-ს შემდეგ, „ალტ ინფოს“ ლიდერები საჯაროდ

„ფეისბუქით“ ემუქრებოდნენ წამყვანს - მოსარჩელე იმედა დარსალიას, რომ გააქრობდნენ ამ პროფესიიდან, გადაცემას დაუხურავდნენ, რომ მათი აღსასრულის დრო მოვიდა.

2022 წლის 17 თებერვალს გავრცელდა მოსარჩელის ინტერვიუ, სადაც მან გადაცემის არსებული ფორმატით დახურვაზე ილაპარაკა, ამასთან აღნიშნა, რომ ,,ალტ ინფოზე'' გასული სიუჟეტი და მისი გადაცემის დახურვა დროში ერთმანეთს დაემთხვა. ამავე დღეს, ტელეკომპანია პირველის საღამოს ეთერში ასევე ისაუბრა შავ სიებსა და ცენზურაზე და ეჭვი გამოთქვა, რომ რეორგანიზაცია მისი, გადაცემისგან ჩამოშორების მიზნით დაიგეგმა, რადგან ის ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ცენზურას და შავი სიების არსებობას.

2022 წლის 18 თებერვალს გადაცემა ახალი კვირის გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბა მისი პროდიუსერის - თამარ გოგესაშვილის მიერ. შეხვედრას ესწრებოდა გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი, საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი ეკა შონია და ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორი - გიორგი გვიმრაძე. თინათინ ბერძენიშვილის განმარტებით, იმედა დარსალიამ განცხადებებით ,,ალტ-ინფოს'', ცენზურისა და ,,შავი სიების'' შესახებ უზარმაზარი დარტყმა მიაყენა არხის რეპუტაციას. გიორგი გვიმრაძის განმარტებით, პროდიუსერი უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება რაიმე მასალის ეთერში გასვლა-არგასვლასთან დაკავშირებით და ეს ცენზურას არ ნიშნავს, ცენზურა შეიძლება იმ შემთხვევაში იყოს, როცა ამას სისტემატური ხასიათი აქვს. ეკა შონია, აღნიშნულ შეხვედრაზე, ჟურნალისტებს სათითაოდ ეკითხებოდა რომელს ჰქონდა „შავი სიები“. ჟურნალისტების უმრავლესობამ, მსგავსი სიების არსებობა უარყო, რაც გასაკვირი არ იყო იქიდან გამომდინარე, რომ მათი ნაწილი გასართობი ხასიათის რეპორტაჟებს ამზადებს და მათ მასალაში მსგავსი პრობლემები ვერ დადგებოდა. თინათინ ბერძენიშვილის განმარტებით, გადაცემას ეთერში ჰქონდა ძალიან დაბალი რეიტინგი, იმ დროს როცა ცალკეულ სიუჟეტებს ფეისბუქზე უამრავი ნახვა აქვს და ეს გახდა რეორგანიზაციის მიზეზი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ რეიტინგი საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გადამწყვეტი არ არის. ასევე ახსენა კვლევა და ფოკუს ჯგუფები, რომლებიც თურმე „ახალი კვირის“ შეფასებას ახდენდა, მსგავსი კვლევის შესახებ თანამშრომლებმა თათბირზე შეიტყვეს.

გავრცელებული განცხადებების შემდეგ მოსარჩელესთან და მის კოლეგებთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო

საბჭომ, შეხვედრა შედგა ონლაინ 2022 წლის 22 თებერვალს, მათ მოისმინეს ინფორმაცია „ახალ კვირაში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ დაელაპარაკებოდნენ მენეჯმენტს და შეასრულებდნენ მედიატორის ფუნქციას.

2022 წლის 21 თებერვალს, დირექტორთა საბჭოს სახელით მოთხოვნილ იქნა მოსარჩელისთვის ახსნა-განმარტება, რომელიც 2022 წლის 28 თებერვალს მიაწოდა მოსარჩელემ.

2022 წლის 16 მარტს, მოსარჩელემ მიმართა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს და მოითხოვა ეცნობებინა თუ რა ეტაპზე იყო გადაცემა ახალი კვირის რეორგანიზაციის პროცესი, ასევე 2022 წლის 28 თებერვალს მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო თუ არა რაიმე სახის მოკვლევა ან წარმოება.

აღნიშნულ მიმართვაზე 2022 წლის 19 მარტს ეცნობა მოსარჩელეს, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე, მიმდინარეობდა მათ მიერ საჯარო განცხადებებში მითითებული ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება/მოკვლევა, შესაძლო დისციპლინური დარღვევა/გადაცდომის ფაქტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიზნით. აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილი შესაბამისი ახსნა-განმარტებების შინაარსიდან გამომდინარე, მისი სრულად შესწავლის შემდეგ საკმარისი საფუძვლის/მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, დაიწყებოდა კონკრეტული პირ(ებ)ის მიმართ დისციპლინური წარმოება, რომლის ფარგლებშიც იქნებოდა მოსარჩელეც ჩართული წარმოების შესაბამის ეტაპზე. გადაცემის რეორგანიზაციის პროცესის თაობაზე კი ეცნობა, რომ მიმდინარეობდა გადაცემის სხვადასხვა ფორმატის დამუშავების პროცესი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნებოდა.

2022 წლის 29 აპრილს კი მიღებული იქნა უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ამავე დროს მოპასუხის მიერ თავად იქნა დარღვეული დისციპლინური წარმოების ვადები და პროცედურა, დისციპლინური სანქციის დადების ბოლო

თარიღი უნდა ყოფილიყო 21 მარტი, ხოლო გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2022 წლის 29 აპრილს.

(იხ. სარჩელი, ტომი 1, ს.ფ.3-48, მოსარჩელე მხარის ახსნა განმარტება, 30.11.2023 წლის სხდომის ოქმი - 16:16:46 სთ. 16:49:10 სთ.).

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხე წარმოდგენილი შესაგებლითა და სასამართლო სხდომაზე მიცემული ახსნა-განმარტებით სარჩელს არ ცნობს.

2.1. შესაგებელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოპასუხის განმარტებით, გადაცემა ახალი კვირა შეიქმნა საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი გადაცემის - საკვირაო ტელეჟურნალის რეორგანიზაციის შედეგად და იგი ეთერში გადიოდა 2018 წლის 4 მარტიდან. აღნიშნული გადაცემის ანოტაციაში, რომელიც განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე ვკითხულობთ „ახალი კვირა“ შემოგთავაზებთ რეპორტაჟებს შემეცნებით, სოციალურ და კულტურულ თემებზე, კონკრეტული ადამიანების მიღწევებისა და საქმიანობის, ეთნიკური ჯგუფებისა და მათი ტრადიციების უცხო ქვეყნების კულტურული ცხოვრების შესახებ. ამდენად, გადაცემის პრიორიტეტ არ იყო ქვეყანაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური მოვლენების გაშუქება.

2021 წლის ბოლოს გადაცემის გუნდისთვის მიწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა გადაცემის განახლება/რეორგანიზაცია, იმავე წლის 28 დეკემბერს, გადაცემის თანამშრომლებს გაეცნოთ ის სავარაუდო ფორმატი, რომელზე გადასვლაც იგეგმებოდა რეორგანიზაციის შემდეგ. ამავე შეხვედრაზე ცნობილი გახდა თანამშრომლებისთვის, რომ გადაცემას აღარ ეყოლებოდა ერთი წამყვანი და თითოეული ჟურნალისტი უზრუნველყოფდა მის მიერ მომზადებული რეპორტაჟის/სიუჟეტის ეთერში პრეზენტაციას. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, გადაცემის ფორმატის ცვლილებამ იმედა დარსალიაზე მკვეთრად უარყოფითად იმოქმედა და მისი გაღიზიანება გამოიწვია.

2022 წლის 17 თებერვალს იმედა დარსალიამ სხვა არხის სატელევიზიო ეთერით გააკეთა განცხადება, სადაც სხვადასხვა გარემოებებთან ერთად აღნიშნავდა, რომ თითქოს:

- საზოგადოებრივ მაუწყებელში იყო ცენზურა და „შავი სიები“ და ამ სიებში მყოფი პირებისგან იკრძალებოდა ინტერვიუს აღება ან მათი ეთერში მიწვევა;
- იყო პერიოდი, როდესაც „გადაცემაში პოლიტიკა ოფიციალურად აკრძალული იყო“;
- გადაცემის დახურვა უკავშირდებოდა „ახალი კვირის“ მიერ „ალტ ინფოსთან“ დაკავშირებული სიუჟეტის მომზადებას, რომელსაც ამავე ალტ ინფოს მხრიდან გადაცემის გუნდის მიმართ მძაფრი რეაქცია მოჰყვა;
- გადაცემის რეორგანიზაციის მოტივით რეალურად მოხდა გადაცემა „ახალი კვირის“ დახურვა;
- თავის მხრივ კი გადაცემის დახურვა განხორციელდა იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მისი ეთერიდან ჩამოშორება.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმედა დარსალია თავის განცხადებებში საუბრობდა რომ ეს ცენზურა და „შავი სიები“ მომდინარეობდა მაუწყებლის მენეჯმენტის საშუალო რგოლიდან და ამასთან კავშირი არ ჰქონდა მაუწყებლის ტოპ-მენეჯმენტს და სახელისუფლებო ორგანოებს.

მოპასუხის განმარტებით, გადაცემის წამყვანის მხრიდან ცენზურის შესახებ საუბრის აბსურდულობა თვალსაჩინოს ხდის თავად „ცენზურის“ განმარტებას - სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებისა თუ პროდუქტის, მათ შორის მედია-პროდუქტის, ტელე და რადიო გადაცემების, ვებ საიტებისა თუ პორტალების შინაარსსა და გავრცელებაზე კონტროლი სახელმწიფო ორგანოს მიერ, რათა არ მოხდეს ხელისუფლებისთვის საზიანო იდეებისა თუ ინფორმაციის გავრცელება. ამ უკანასკნელს კი მოსარჩელე თავის განცხადებებში საერთოდ გამორიცხავდა. მოპასუხე შორსაა იმ აზრისგან, რომ მოსარჩელისთვის უცნობია ცენზურის მნიშვნელობა, ამ გარემოების გათვალისწინებით, აბსოლუტურად ცხადი დ გასაგებია მოსარჩელის მიერ გავრცელებული განცხადებებს მიზანი - რეპუტაციული ზიანი მიეყენებინა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის.

თამარ გოგესაშვილისა და ეკატერინე შონიას განმარტებით, რასაც მოსარჩელე (ასევე თამთა ჯანაძე და სოფო ზედელაშვილი) მიუთითებს წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამუშაო პროცესს, ხდებოდა მსჯელობა და მსჯელობის შედეგად მოსამზადებელ სიუჟეტებზე გადაწყვეტილების მიღება გადაცემის სტრუქტურის, სიუჟეტის თემის აქტუალობის და ა.შ. კრიტერიუმების მიხედვით. სიუჟეტი, რომელიც ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებდა ვერ მოხვდებოდა ეთერში და ამის შესახებ <u>საბოლოო</u>

გადაწყვეტილებას იღებდა გადაცემის მთავარი პროდიუსერი. ამასთან, გადაცემის არსებობის მანძილზე, თითქმის 4 წლის განმავლობაში მომზადებული და ეთერში გაშვებულ იქნა 600-ზე მეტი სიუჟეტი, მოსარჩელე და საჯარო განცხადებათა სხვა ავტორები იხსენებენ მხოლოდ ორი სიუჟეტის „დაბლოკვის ფაქტს“ და რამდენიმე სიუჟეტთან დაკავშირებით პროდიუსერისგან მათი სიუჟეტის მისამართით შენიშვნებს და დაბალანსების მიზნით გარკვეული კორექტირების შესახებ მითითებებს.

2022 წლის 25 მარტს იმედა დარსალიას, თამთა ჯანაძის, სოფო ზედელაშვილის, თამარ გოგესაშვილისა და ეკატერინე შონიას მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტების დადგენის მიზნით, საკითხი განსახილველად გადაეცა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორთა საბჭოს. საკითხის განხილვის პროცესში მოწვეულ იქნა როგორც იმედა დარსალია ასევე გადაცემის მოქმედი და ყოფილი პროდიუსერები და სხვა თანამშრომლები. მოსარჩელემ უარი განაცხადა დირექტორთა საბჭოსთან შეხვედრაზე. ასევე არ მომხდარა მის მიერ საჯარო სივრცეში გავრცელებულ განცხადებათა დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა.

საბოლოო ჯამში, დირექტორთა საბჭოს მხრიდან საკითხის დეტალურად შესწავლის მიუხედავად, მოსარჩელის მიერ მითითებული არც ერთი ფაქტი არ დადასტურდა, მის მიერ მითითებული ყველა კონკრეტული შემთხვევა წარმოადგენდა კონკრეტული საკითხის შიდაორგანიზაციული განხილვის პროცესს, რომელთა უკან არც ერთ შემთხვევაში არ იკვეთებოდა არათუ მმართველი, არამედ ზოგადად, რომელიმე პოლიტიკური ძალის ინტერესი.

მოსარჩელემ სატელევიზიო ინტერვიუ არაერთხელ მისცა მოპასუხის ერთ-ერთ კონკურენტ ტელეკომპანიას, სადაც ისაუბრა საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ამავე დროს მან აღნიშნულ საუბრებში გაავრცელა ისეთი ცრუ ინფორმაცია, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ, აღნიშნული განცხადებებითა და ცრუ ბრალდებებით, ზიანი მიაყენა არამარტო კონკრეტულ გადაცემას, არამედ მის უშუალო დამსაქმებელს, ამავე არხზე დასაქმებულ ასობით ჟურნალისტს და შელახა მათი საქმიანი რეპუტაცია. ამავე დროს მან უარი განაცხადა დამსაქმებლის ლეგიტიმურ მოთხოვნაზე, სადავო საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნებისათვის თანამშრომლობაზე. აღნიშნული ქმედებებით მისი ხრიდან დარღვეულ იქნა როგორც საჯარო, ასევე შიდალოკალური აქტები, საზოგადოებრივი

მაუწყებლის თანამშრომლებისთვის დადგენილი ნორმები, რითაც თავის მხრივ, უხეშად იქნა დარღვეული მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობები.

მოპასუხის განმარტებით, გადაცემის რეორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია მოსარჩელისთვის ცნობილი იყო 2021 წლის 28 დეკემბრამდე ბევრად ადრეც. საშემოდგომო სეზონი, ზოგადად, სრულდება წლის ბოლოს და ცხადია ეს მოსარჩელისთვისაც იყო ცნობილი. რეორგანიზაციის პროცესის გაჭიანურება კი გამოწვეული იყო ერთის მხრივ იანვრის თვის სადღესასწაულო დღეებითა და საშვებულებო პერიოდით, მეორე მხრივ გადაცემის რეორგანიზაციაზე პასუხისმგებელ პირთა სხვადასხვა დროს, COVID-19-ით დაინფიცირების, ასევე იზოლაციის და ზოგადად პანდემიის გამო გამოწვეული დისკომფორტით.

იმედა დარსალიას მხრიდან მოხდა გადაცემის რეორგანიზაციის დაკავშირება „ალტ ინფოს“ მხრიდან გაჟღერებულ მუქარასთან, ასევე სხვა სამაუწყებლო ტელეარხის ეთერში გაავრცელა ინფორმაცია საზოგადოებრივ მაუწყებელში „შავი სიების“ და „ცენზურის“ შესახებ, თუმცა მის მიერ მოყვანილი ფაქტები იყო უსაფუძვლო ფაქტობრივი თუ სამართლებრივი თვალსაზრისით. იმედა დარსალიას ინტერვიუს შემდეგ შედგა შეხვედრა გადაცემის გუნდთან მის მიერ გაკეთებული განცხადებების რეალურ/ობიექტურ საფუძვლებში გასარკვევად. აღნიშნულ შეხვედრაზე თანამშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ უარყოფილ იქნა ცენზურის და ასევე ე.წ. „შავი სიების“ არსებობის ფაქტი.

(იხ. შესაგებელი - ტომი 1, ს.ფ. 215-241, მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტება, 30.11.2023 წლის სასამართლო სხდომის ოქმი - 17:06:14 სთ.).

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. იმედა დარსალია 2017 წლის 20 აპრილიდან დასაქმებული იყო სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში, ახალი ამბების სამსახურში კორესპონდენტის თანამდებობაზე. ხელშეკრულება დაიდო 2017 წლის 20 ოქტომბრამდე გამოსაცდელი ვადით და მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 3125 ლარით.

2017 წლის 17 ივლისის შეთანხმების თანახმად, შრომით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, დასაქმებულმა დაიკავა გადაცემა

„საკვირაო ტელეჟურნალში“ კორესპონდენტის თანამდებობა.

2017 წლის 29 სექტემბრის №1132 შრომითი ხელშეკრულებით, მოსარჩელე იმედა დარსალიასთან გადაცემა საკვირაო ტელეჟურნალში კორესპონდენტის თანამდებობაზე გაფორმდა 2018 წლის 20 ოქტომბრამდე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- შრომითი ხელშეკრულება 20.04.2017წ. (ტომი 1, ს.ფ. 50-53);
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის 11 ივლისის ბრძანება №203-კ (ტომი I, ს.ფ. 54-55);
- შეთანხმება 17.07.2017 წ. (ტომი 1, ს.ფ. 56);
- შრომითი ხელშეკრულება 29.11.2017წ. (ტომი 1, ს.ფ. 57-60).

3.1.2. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 12 მარტის №65-კ ბრძანებით მოსარჩელეს, 2018 წლის 12 მარტიდან ხელფასი განესაზღვრა თვეში 4375 ლარით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 12 მარტის ბრძანება №65-კ (ტომი 1, ს.ფ. 61);
- 2018 წლის 12 მარტის შეთანხმება (ტომი 1, ს.ფ. 62).

3.1.3. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 22 მარტის ბრძანებით №77-კ, 2018 წლის 01 აპრილიდან ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის გადაცემა „საკვირაო ტელეჟურნალს“ ეწოდა გადაცემა „ახალი კვირა“.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 18 მაისის ბრძანებით №145-კ, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის გადაცემა „ახალი კვირის“ კორესპონდენტი იმედა დარსალია 2018 წლის 18 მაისიდან გადაყვანილ იქნა გადაცემა „ახალი კვირის“ წამყვანის თანამდებობაზე.

2019 წლის 01 ივლისიდან მოსარჩელე უვადოდ დასაქმდა აღნიშნულ თანამდებობაზე და მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 4375 ლარით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 22 მარტის ბრძანება №77-კ (ტომი 1, ს.ფ. 63);
- 2018 წლის 26 მარტის შეთანხმება (ტომი 1, ს.ფ. 64);

- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018 წლის 18 მაისის ბრძანება №145-კ, (ტომი 1, ს.ფ. 65);
- 2018 წლის 18 მაისის შეთანხმება (ტომი 1, ს.ფ. 66);
- შრომითი ხელშეკრულება №468 01.07.2019წ. (ტომი 1, ს.ფ. 7582);
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობა (ტომი 1, ს.ფ. 83).

3.1.4. იმედა დარსალიასა და სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის 2019 წლის 01 ივლისს გაფორმებული №468 ხელშეკრულების 3.3 პუნქტი ადგენს შრომით საქმიანობაში დასაქმებულის ვალდებულებებს, კერძოდ:

3.3. დასაქმებული ვალდებულია:
3.3.5. *<u>არ მისცეს ინტერვიუ, არ ჩაატაროს შეხვედრები ან/და მოლაპარაკებები, რომელიც ეხება დამსაქმებლის საქმიანობას, ხელმძღვანელობის წინასწარი თანხმობის გარეშე;</u>*
3.3.9. *<u>დაიცვას დამსაქმებლის მიერ მიღებული შიდა ლოკალური აქტების, ასე ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ბრძანებების და განკარგულებების მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები, უსაფრთხოების ნორმები.</u>*

ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის უფლებები, კერძოდ:
3.2. დამსაქმებელს უფლება აქვს:
3.2.1. მოსთხოვოს დასაქმებულს წინამდებარე ხელშეკრულების, შინაგანაწესისა, დამსაქმებლის შიდა ლოკალური აქტებისა და თანამდებობრივი ინსტრუქციის დაცვა;
3.2.2. დაადგინოს ორგანიზაციის შრომის შინაგანაწესი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3.2.4. დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;
3.2.5. გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- შრომითი ხელშეკრულება №468 01.07.2019წ. (ტომი 1, ს.ფ. 75-82).

3.1.5. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის 15.6 თანახმად, შრომის დისციპლინის დარღვევისას დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველია დასაქმებულის წერილობითი ახსნა-განმარტება ან მისი უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი. დისციპლინურ სანქციას დასაქმებულს შეუფარდებს

გენერალური დირექტორი შესაბამისი ბრძანებით. დისციპლინური სანქცია დასაქმებულს უნდა შეეფარდოს ***<u>არა უგვიანეს 1 თვისა მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან.</u>***

აღნიშნული შინაგანაწესის მე-16 მუხლი ადგენს დამატებით დებულებებს:

16.1. ჟურნალისტები და ტელეგადაცემათა წამყვანები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ქცევის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შრომის შინაგანაწესი (ტომი 2, ს.ფ.6-18).

3.1.6. გადაცემა ახალი კვირის საპროექტო ვადა იწურებოდა 2022 წლის 01 იანვარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- ახალი და მიმდინარე ამბების დირექტორის მოხსენებითი ბარათი (ტომი 2, ს.ფ. 24);
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის 1 ივნისის ბრძანება №146-კ (ტომი 2, ს.დ. 23).

3.1.7. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანებით №207, 2022 წლის 1 იანვრიდან, ორი თვის ვადით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის გადაცემაში „ახალი კვირა" გამოცხადდა რეორგანიზაცია.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის 2021 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №207 (ტომი 1, ს.ფ. 253).

3.1.8. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის №22 ბრძანებით, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 31.12.2021 წ. №207 ბრძანებით ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის გადაცემაში „ახალი კვირა" გამოცხადებული რეორგანიზაციის ვადა გაგრძელდა ორი თვით, 2022 წლის 01 მაისამდე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის №22 ბრძანება (ტომი 1, ს.ფ. 96).

3.1.9. მოსარჩელე იმედა დარსალიამ ტელეკომპანია „ფორმულასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ 28 დეკემბერს, როდესაც სეზონის ბოლო გადაცემა გავიდა ეთერში, ჩაუტარეს თათბირი და უთხრეს, რომ ,,ახალი კვირის'' წამყვანი აღარ იყო და გადაცემა ამ ფორმატით ეთერში აღარ გავიდოდა. ამასთან აღნიშნა, რომ მენეჯმენტის ეს გადაწყვეტილება, დროში ემთხვევა გადაცემაში გასულ სიუჟეტს სახელწოდებით „ალტ ინფოს სახიფათო იდეოლოგია“. სიუჟეტის გასვლის შემდეგ, პარტიის ლიდერებმა საჯაროდ დაწერეს მუქარები, აღნიშნულიდან ერთ თვეში არხმა გადაცემა დახურა. „ვარაუდებზე არ მინდა საუბარი, ფაქტებს ველოდები. ყველას შეუძლია დააკავშიროს ეს თემები ერთმანეთთან, შეიძლება ასე მართლაც არ იყო, თვის ბოლოს ველოდები არხის ოფიციალურ გადაწყვეტილებას, რას აპირებენ გადაცემასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ მენეჯმენტმა უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, ვიბრძოლებ ბოლომდე“.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ამონარიდი „ნეტგაზეთიდან“ (ტომი 1, ს.ფ. 88-89).

3.1.10. 2022 წლის 17 თებერვალს გავრცელდა იმედა დარსალიას ინტერვიუ, სადაც მან გადაცემის არსებული ფორმატით დახურვაზე ილაპარაკა, ამასთან აღნიშნა, რომ „ალტ ინფოზე“ გასული სიუჟეტი და მისი გადაცემის დახურვა დროში ერთმანეთს დაემთხვა. ამავე დღეს, „ტვ პირველის“ საღამოს ეთერში დარსალიამ ასევე ისაუბრა ე.წ. ,,შავ სიებსა'' და ცენზურაზე და ეჭვი გამოთქვა, რომ რეორგანიზაცია მისი, გადაცემიდან ჩამოშორების მიზნით დაიგეგმა, რადგან ის ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ცენზურას და ,,შავი სიების'' არსებობას.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- მხარეთა ახსნა-განმარტება.

3.1.11. 2022 წლის 21 თებერვალს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოსარჩელეს მიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა - თამარ შუბლაძემ და სთხოვა 25 თებერვლამდე წერილობით წარედგინა ახსნა-განმარტება კონკრეტული ფაქტებისა დ

გარემოებების მითითებით, მათ შორის, ცენზურასთან, არასასურველი რესპოდენტების „შავ სიებთან“, სარედაქციო პოლიტიკაზე ზეწოლასთან და ,,ალტ-ინფოსთან'' დაკავშირებთ.

აღნიშნული წერილის პასუხად, 2022 წლის 24 თებერვალს იმედა დარსალიამ განუცხადა თანხმობა მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენაზე, მანამდე კი ითხოვა ეცნობებინათ დეტალურად რა პროცედურები მიმდინარეობდა წერილობითი ახსნა-განმარტებების შეგროვების პროცესში და მიეწოდებინათ დოკუმენტები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

2022 წლის 24 თებერვალს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოსარჩელეს უპასუხა თამარ შუბლაძემ: „რამდენიმე დღის წინ თქვენს მიერ, საჯარო სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა თქვენს მოღვაწეობას საზოგადოებრივ მაუწყებელზე, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, თქვენ აღნიშნავდით, რომ თითქოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „ახალი კვირის“ დახურვა (რეალურად კი რეორგანიზაცია) დაკავშირებულია „ალტ-ინფოსთან.

ასევე თქვენი განცხადებით, საზოგადოებრივ მაუწყებელში იყო/არის ცენზურა, ხდებოდა/ხდება სარედაქციო პოლიტიკაზე ზეწოლა და არსებობს ე.წ. „შავი სიები“, რომელთა გაშუქებაზეც იყო შეზღუდვები და ა.შ.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მსგავსი სახის განცხადებები, ისევე როგორც ამ განცხადებებში მოყვანილი ფაქტები ლახავს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესებს, საქმიან რეპუტაციას და საზოგადოებაში წარმოშობს ეჭვებს მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებთ.

გამომდინარე აქედან, სრულიად ლეგიტიმურია მაუწყებლის მიზანი: ერთის მხრივ, სათანადო პასუხი გასცეს მაუწყებლის მისამართით გამოთქმულ ყველა უსაფუძვლო ბრალდებას (რომელიც მიმართულია მაუწყებლის საქმიანი რეპუტაციის შელახვისკენ) და მეორე მხრივ, მკაცრი რეაგირება მოახდინოს თქვენს განცხადებებში აღწერილი ან სხვა მსგავსი ფაქტების მიმართ (დადასტურების შემთხვევაში).

რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის თითოეულ თანამშრომელს და მათ შორის თქვენც, ვალდებული ხართ მაუწყებლის ინტერესების დაცვის მიზნით და ფარგლებში, ითანამშრომლოთ არხის მენეჯმენტთან რათა დროულად და

საფუძვლიანად მოხდეს არსებული/შესაძლო ხარვეზების/დარღვევების აღმოჩენა/თავიდან აცილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის დავალებით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ახორციელებს თქვენ მიერ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების გადამოწმება/კვლევას. შესაბამისად, გთხოვთ მაქსიმალურად მოკლე ვადებში, ახსნა-განმარტების ფორმით, წერილობით მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

1. გადაცემა "ახალ კვირაში" (ან სხვა გადაცემაში) მუშაობის პერიოდში, უშუალოდ თქვენს მიმართ, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე სახის ზეწოლას ან/და ცენზურას;
2. პირველ კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის, რა ფორმით, ვის მიერ, ხორციელდებოდა იგი;
3. რაში გამოიხატებოდა აღნიშნული ზეწოლა/ცენზურა (გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული მაგალითები);
4. პირველ კითხვაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, საიდან გახდა ცნობილი ასეთი სახის ცენზურისა და ზეწოლის შესახებ (გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტული პირები);
5. ასევე, გთხოვთ მიუთითოთ ის პირები/ორგანზაციები, რომლებიც თქვენი თქმით შესული იყვნენ ე.წ. „შავ სიებში";
6. ვის (რომელი ხელმძღვანელი პირების) მიერ ხდებოდა არასასურველი რესპოდენტების სიების (ე.წ. „შავი სია") შედგენა და მათ შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მიწოდება ან/და საიდან გახდა თქვენთვის ცნობილი ასეთი ხელმძღვანელი პირებისა და არასასურველი რესპოდენტების შესახებ ინფორმაცია;
7. გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე გთხოვთ მიუთითოთ უშუალოდ თქვენს შემთხვევაში რომელი გადაცემის ეპიზოდის მომზადების დროს ჰქონდა ადგილი სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას და ვის მიერ, ასევე ვინ განსაზღვრავდა გადაცემის სარედაქციო პოლიტიკას''.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ამონარიდი ელექტრონული ფოსტის მიმოწერიდან (ტომი 1, ს.ფ.92-94).

3.1.12. იმედა დარსალიას წერილობითი ახსნა განმარტების თანახმად: „2019 წლის ოქტომბერში გენერალური დირექტორის ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, ეთერში არ უნდა გასულიყო რეპორტაჟი ლუდომანიაზე, სადაც

მთავარი ისტორია ეხებოდა პირველი არხის ოპერატორს რომელიც დამოკიდებული იყო აზარტულ თამაშებზე და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ამისთვის სხვადასხვა მიზეზს ასახელებდა. სიუჟეტის ავტორს სოფო მთივლიშვილს ეუბნებოდნენ, რომ სიუჟეტში შეეძლო მხოლოდ გარდაცვლილ ოპერატორზე ესაუბრა და არა ზოგადად „გემბლინგის“ პრობლემაზე ანუ ფაქტობრივად ნეკროლოგის გაკეთებას სთხოვდნენ. ჩვენი დიდი ძალისხმევით სიუჟეტი მაინც გავიდა. ძალიან მალე არხმა ლუდომანიის წინააღმდეგ აზარტული თამაშების რეკლამაზე უარი თქვა.

პერიოდულად ვრცელდებოდა ხმები, გადაცემის შესაძლო დახურვის შესახებ, ეს კი სტაფში სერიოზულ შიშებს იწვევდა რაც თვითცენზურის განვითარებაზე კარგად მუშაობდა.

ამ ამბიდან 2 თვის შემდეგ, 2019 წლის დეკემბრის ბოლოს, სატელევიზიო სეზონის დასასრულს გადაცემის ხელმძღვანელობამ გვითხრა, რომ იანვრიდან გადაცემაში პოლიტიკის ბლოკი აღარ იქნებოდა. თუ ამას არ დავთანხმდებოდით, დიდი ალბათობით, გადაცემას აღარ გააგრძელებდნენ და დახურავდნენ, რაც ნიშნავდა, რომ 22 კაცი სამსახურის გარეშე დარჩებოდა. მე ვკითხე, რამდენად სერიოზული იყო ეს შემოთავაზება და მივიღე პასუხი - საკმაოდ სერიოზული. ბოლოს გადავწყვიტეთ რომ სოციალური პრობლემები ყველაზე დიდი პოლიტიკაა და იძულებული გავხდით დავთანხმებოდით ამ შემოთავაზებას, რომ გადაცემა არ გაჩერებულიყო. ამგვარად, კვირის ანალიტიკური გადაცემიდან პოლიტიკის ბლოკი ამოვარდა.

ჩვენ აღარ ვაშუქებდით ქვეყანაში პოლიტიკურ მოვლენებს გამონაკლისი შემთხვევების გარდა - მაშინაც მოამბის ჟურნალისტები ამზადებდნენ რეპორტაჟებს ახალი კვირისთვის. ჩვენი პოლიტიკის ჟურნალისტი თამთა ჯანაძე იძულებული იყო სხვა თემებზე ემუშავა.

2021 წლის თებერვლის შუა რიცხვებში (20-23 თებერვალი) მე, თამთა ჯანაძე და „ახალი კვირის“ კიდევ ერთი ჟურნალისტი (შეგნებულად არ ვასახელებ, რადგან არ ვარ დარწმუნებული, რომ პრობლემები არ შეექმნება) ახალი კვირის ნიუსრუმში ვსაუბრობთ გადაცემაში შექმნილ რთულ და დაძაბულ სიტუაციაზე. ჟურნალისტი გვეუბნება, რომ შეუძლებელი გახდა ამ გადაცემაში მუშაობა საგამოძიებო თემებზე, რადგან ეკა შონია თითქმის ყველაფერს უბლოკავს და პრობლემა გახდა თითქმის ყველა რესპონდენტის ჩაწერა. მან მთხოვა, იქნებ როგორმე ეს პრობლემა მოგვარდესო. მე დავპირდი,

რომ ეკას დაველაპარაკებოდი. მსგავსი ინფორმაცია მანამდე სხვა ჟურნალისტებისგანაც მქონდა. 25 თებერვალს, მე ეკა შონიას მივწერე, რომ გახსნას რაღაც თემები, რადგან სტაფს და მე გვაქვს პრეტენზია და ყველაფრის დაბლოკვა არ შეიძლება-მეთქი. შონიამ შეურაცხყოფად მიიღო სიტყვა „დაბლოკვის“

ხსენება და სასწრაფოდ დანიშნა „ახალი კვირის“ ჟურნალისტების თათბირი, რომელსაც გიორგი გვიმრაძეც ესწრებოდა. თათბირზე მან პირდაპირ დასვა შეკითხვა, ვინ ამბობს, რომ თემების დაბლოკვას ვცდილობო. იქ თითქმის ყველა ჟურნალისტმა უარყო მსგავსი ფაქტები, მათ შორის იმანაც, ვინც ორი დღის წინ მთხოვდა, იქნებ, დაბლოკვის პრობლემა მოგვარებულიყო. საბოლოოდ, ორი ჟურნალისტის გარდა დაბლოკვის ან ცენზურის მცდელობის ფაქტი არავის დაუდასტურებია. როდესაც ვუყურებდი ამ თათბირზე შექმნილ სიტუაციას, საკუთარ თავზე ავიღე და ჩემი სახელით ვილაპარაკე დაბლოკვასა და ცენზურაზე. მოგვიანებით, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა თქვა, რომ ძალიან შეეცოდა ეკა შონია იმ სიტუაციაში და ვერაფერი თქვა მის წინააღმდეგ თათბირზე.

ამავე კვირაში ვცდილობდი, რომ გადაცემის გუნდს, მოემზადებინა რეპორტაჟი ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმის ფაქტზე, რაზეც ხელმძღვანელობისგან მივიღე უარი.

მალევე, დაახლოებით 2021 წლის აპრილის თვეში კიდევ ერთი ჟურნალისტისგან, ამჯერად გადაცემაში „შავი სიების“ არსებობის შესახებ ვიგებ. ამ დროს გენ. დირექტორი თინათინ ბერძენიშვილია. ჟურნალისტმა კონკრეტულ თემაზე მკითხა რომელი ექსპერტი შეეძლო ჩაეწერა. მე ვურჩიე თინა ხიდაშელი, რაზეც მან მიხრა, რომ თინა ხიდაშელი „შავ სიაშია“ და ამას პრობლემები მოჰყვებოდა. სწორედ მისგან გავიგე პირველად „შავი სიის“ შესახებ ჩემს გადაცემაში და მაშინვე სერიოზული პროტესტი გამოვხატე. ჟურნალისტს ვთხოვე ჩამოეწერა და გადმოეგზავნა ჩემთვის ეს სია.

ჟურნალისტის მიერ მოწოდებული „შავი სია“ ასეთია: „რონდელის ფონდის“ ექსპერტების უმრავლესობა, განსაკუთრებით ზურაბ ბატიაშვილი, ასევე ბუკა პეტრიაშვილი ნატოს თემაზე, იმავე თემაზე თინა ხიდაშელი, ხიდაშელზე პირდაპირ მითხრეს ეპითეტით, რომ „ეს დებილი დედაკაცი არ დაგვანახოო“. ლაშა ბაქრაძე ისტორიულ სიუჟეტებზე (ძირითადად სსრკ). ასევე, ბოლო თვეებში დაბლოკილი იყო საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და უმაღლესი დონის ყოფილი დიპლომატი ეკა აკობია, რომელიც სერგი კაპანაძის

ცოლია. ასევე კავკასიოლოგი, თსუ-ს პროფესორი, სრულიად არაპარტიული, ლელა ჯეჯელავა. დაბლოკილია ატლანტიკური საბჭოს ქართული წარმომადგენლობა - ბათუ ქუთელია ორჯერ ჩავწერე რუსულ პროპაგანდაზე და ორჯერვე შენიშვნა მივიღე. ამ ჟურნალისტს ასევე ვასიკოს გადაწყვეტილებით და ეკას უშუალო ჩართულობით დაუბლოკეს სსრკ-ს სამხედრო დანაშაულზე მომზადებული სიუჟეტი, რასაც კონფლიქტი მოჰყვა. ჟურნალისტმა მითხრა, რომ დაიბლოკა ბელარუსის აქციები ანალიტიკურ ჭრილში, რადგან ეკას არ უნდოდა „ლუკაშენკოს რეჟიმისადმი კრიტიკული ვყოფილიყავით“ - ესაა კატასტროფა“ აღნიშნავს ჟურნალისტი. მისივე თქმით, ეკა შონიამ უთხრა, რომ ეკრძალება რუსეთზე ცუდის დაწერა და პარალელი გაავლო ამერიკასთან. „როგორც ამერიკაზე არ უნდა დავწერო ცუდი, ისე არ უნდა დავწერო ცუდი რუსეთზე, რადგან ჩვენი მაყურებლის გარკვეული ნაწილი პრორუსია“ - მწერს ჟურნალისტი.

მიუხედავად იმისა, რომ არხის გენ. დირექტორი შეიცვალა „შავი სიები“ მაინც დარჩა რადგან გადაცემის ხელმძღვანელი ეკა შონია იყო.

უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში გვიწევდა მუშაობა, ამიტომ გადავწყვიტე ამ „შავი სიებით“ ავსულიყავი არხის ახალ გენერალურ დირექტორთან, თინათინ ბერძენიშვილთან. მივწერე პრობლემის შესახებ და ჩვენი შეხვედრა მალევე, 2021 წლის 20 აპრილს მის სამუშაო ოთახში შედგა. გენდირექტორს ვუთხარი, რომ კვირის ანალიტიკურ გადაცემაში არ გადის პოლიტიკა, თითქმის ორი წელია ლარის კურსის დევალვაციაზე და ეკონომიკურ პრობლემებზე რეპორტაჟი არ გასულა და გადაცემაში არსებობს „შავი სიები“, რომელი რესპონდენტების ჩაწერაც ეკრძალებათ ჟურნალისტებს, რაც ძალიან მძიმედ მიიღო. მე წავუკითხე შავი სიის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ჟურნალისტისგან მქონდა მოწოდებული (ჟურნალისტმა იცოდა, რომ ეს სია მე უნდა ამეტანა გენდირექტორთან). თინათინ ბერძენიშვილს ასევე ვთხოვე, რომ ხშირად შეხვედროდა სტაფს და ჩვენი პრობლემებით დაინტერესებულიყო, რაც ძალიან დიდი მხარდაჭერა იქნებოდა და დაგვხმარებოდა, რომ გადაცემაში დაბრუნებულიყო პოლიტიკის ბლოკი. ეს იყო ძალიან კარგი, საქმიანი შეხვედრა.

დაახლოებით ორ კვირაში, თინათინ ბერძენიშვილმა „ახალი კვირის“ ჟურნალისტებთან მოაწყო პირველი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ეკა შონია და გიორგი გვიმრაძე. გენ. დირექტორმა ყველას მოსთხოვა საკუთარი

საქმე აკეთონ ისე, როგორც ამას ჟურნალისტის პროფესია მოითხოვს, რადგან ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებელი და აქ არ შეიძლება პოლიტიკა იყოს დაბლოკილი, ან შავი სიები არსებობდეს. ასევე, აღნიშნა, რომ დიდი ხანია ეკონომიკურ თემებსა და ლარის კურსზე ეთერში არ გასულა რეპორტაჟი. მე ეს შევაფასე, როგორც მისი გენერალური დირექტორს დიდი მხარდაჭერა გადაცემის გუნდისთვის თავისუფალი გარემოს შექმნაში.

2021 წლის აპრილის ამ შემთხვევიდან ივლისის ჩათვლით პერიოდს ვიხსენებთ, როგორც საუკეთესო დროს გადაცემაში, რადგან ეკა შონია პირდაპირ აღარ მონაწილეობდა დაგეგმვაში და თათბირებში და ნაკლებად გვიწევდა ბრძოლა კრიტიკული რეპორტაჟების ეთერში გაშვებისათვის.

2021 წლის ივლისში, გადაცემაში მოიყვანეს ახალი მთავარი პროდიუსერი, რომელიც მანამდე „იმედის კვირის“ ჟურნალისტი იყო. ჩვენი ჟურნალისტები თამარ გოგესაშვილის გადმოყვანას პროტესტით შეხვდნენ და ამბობდნენ, რომ ის იყო პროპაგანდისტი ჟურნალისტი და დიდი საშიშროება დაინახეს, რომ მას „ახალ კვირაში“ მსგავსი პოლიტიკურად მიკერძოებული რეპორტაჟები მოემზადებინა, რადგან ის უნდა ყოფილიყო ერთდროულად პროდიუსერიც და პოლიტიკის ჟურნალისტიც, თითქმის ერთადერთი მხოლოდ მე აღმოვჩნდი, ვინც არ გააპროტესტა მისი გადმოყვანა.

პირიქით, ჟურნალისტებს ვთხოვე დამშვიდებულიყვნენ, რადგან ის მსგავს რეპორტაჟებს „ახალ კვირაში“ ვერ მოამზადებდა, თუმცა მოვლენები გადაცემის ირგვლივ კიდევ უფრო სწრაფად და რთულად განვითარდა რაზეც თამთა ჯანაძე და სოფო ზედელაშვილი მოგაწვდიან დეტალურ ინფორმაციას.

2021 წლის 17 ოქტომბრის თამთა ჯანაძის სიუჟეტთან დაკავშირებით, პროდიუსერს თამარ გოგესაშვილს სიუჟეტის ნახვის შემდეგ ვუთხარი, რომ ეს ინტერვიუ უნდა დარჩეს, რამაც პროდიუსერი გააღიზიანა. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მისი უფლება იყო, რასაც ვერ აკეთებდა სტაფის პროტესტის შიშით. ამ პერიოდისთვის ვერც გენერალური პროდიუსერი ეკა შონია და ვერც გადაცემის პროდიუსერი ვეღარ ახერხებდნენ გავლენა მოეხდინათ გადაცემაში მომზადებული კრიტიკული რეპორტაჟის შინაარსზე.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ 2021 წლის 28 ნოემბერს ეთერში გავიდა ქეთი თუთბერიძის რეპორტაჟი „ალტ-ინფოს სახიფათო იდეოლოგია“. მისი ეთერში გასვლის შემდეგ „ალტ-ინფოს“ პარტიის ლიდერებმა, მორგოშიამ და

სხვებმა, ფეისბუქში საჯაროდ მუქარები დაწერეს ჩემი, ქეთი თუთბერიძისა და „ახალი კვირის“ მისამართით. გვემუქრებოდნენ, რომ მალე გაგვაქრობდნენ ამ პროფესიიდან, პირველ არხს კი სიურპრიზებს ჰპირდებოდნენ, გვწერდნენ რომ გადაცემას დახურავდნენ და ა.შ. რომ ძალიან მალე მოიცლიდნენ ჩვენთვის და გვაფრთხილებდნენ, რომ მოახლოვდა ჩვენი დასასრულის დრო. ასევე ხშირად გვიძღვნიდნენ ლაივ ჩართვებს „ფეისბუქში“. ისინი ხშირად ჩვენთან ერთად ძალიან უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ არხის გენ. დირექტორს თინათინ ბერძენიშვილსაც.

2021 წლის 28 დეკემბერს, გიორგი გვიმრაძემ და ეკა შონიამ „ახალი კვირის“ სტაფს ჩაგვიტარეს თათბირი და გვითხრეს, რომ მე აღარ ვიქნებოდი გადაცემის წამყვანი და გადაცემა არსებული ფორმატით იხურებოდა. მიზეზად დასახელდა, რომ გადაცემამ ამ ფორმატში თავი ამოწურა, ყველაფერი თიკოსთან შეთანხმებულია და გადაწყვეტილია. წინასწარ არავის არაფერი გაუვლია ან უკითხავს ჩვენთვის, უცნაურია ისიც, რომ როგორც წესი, ფორმატის ცვლილება სეზონის დასრულების შემდეგ ახალი სეზონის დაწყებამდე ზაფხულში ხდება და არა შუა სეზონზე. გადაცემა სრულიად მოულოდნელად გააჩერეს. ახალი ფორმატი არავის აუხსნია და არც ის უთქვამთ, როდის დავიწყებდით ახალ ფორმატზე მუშაობას. ჩვენი აზრით, გადაცემის არსებულ ფორმატში დახურვა და ჩემი ეთერიდან გაშვება სწორედ იმ მიზეზით იყო გამოწვეული, რომ გენერალური და მთავარი პროდიუსერები ვეღარ ახერხებდნენ ეთერში გასასვლელი რეპორტაჟების დაბლოკვას. მცირე პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მაინც, თინათინ ბერძენიშვილთან ჩემი შეხვედრის შემდეგ, აღარ არსებობდა შავი სიები ანუ დაკარგეს „კონტროლი“. ამის შემდეგ მე ფეისბუქში მივწერე გენდირექტორს, არსებული ფორმატით გადაცემის დახურვის შესახებ და შეხვედრა ვთხოვე - არ მიპასუხა. დავუკავშირდი მის თანაშემწე თამუნას, რომელმაც მითხრა, რომ პრობლემის შესახებ აუცილებლად შეატყობინებდა დირექტორს და შეხვედრას შეათანხმებდა. სამწუხაროდ, შეხვედრა ჩემსა და გენდირექტორს შორის ცოტა დაგვიანებით 2022 წლის 12 იანვარს შედგა. მასთან შეხვედრის შემდეგ სრულიად გასაგები იყო, რომ გადაწყვეტილება ეკა შონიამ მიიღო.

არც 28 დეკემბრიდან, როცა გადაცემა არსებულ ფორმატში დახურეს და ეთერიდან გამიშვეს და არც 12 იანვრის შემდეგ, როცა გენდირექტორს შევხვდი, არავინ დამკავშირებია 17 იანვრამდე, ვიდრე გადაცემის შესახებ საჯარო კომენტარებს გავაკეთებდი. არავის შემოუთავაზებია ფორმატის ცვლილებაზე ერთობლივად მუშაობა.

28 დეკემბრიდან 17 თებერვლამდე „ალტ-ინფო“ არ წყვეტს ზეიმს ფეისბუქში - წერენ, რომ გადაცემა დაიხურა და „საზმაუ“ აზრზე მოდის და ა.შ.

2022 წლის 17 თებერვალს „ტვ პირველი“ დაინტერესდა რატომ უხარია „ალტ-ინფოს“ „ახალი კვირის“ დახურვა და გადაამოწმეს გადის თუ არა გადაცემა ეთერში (ეს დეტალები მოგვიანებით გავიგე) გაარკვიეს, რომ ახალი კვირა ეთერში აღარ იყო თვენახევრის განმავლობაში, რაც მე დავუდასტურე. ასევე შეკითხვაზე ვუკავშირებ თუ არა „ალტ-ინფოს“ მუქარებს გადაცემის დახურვას ვუპასუხე, რომ ძალიან ცუდად დაემთხვა მუქარები და გადაცემის დახურვა ერთმანეთს. საღამოს დიანა ტრაპაიძის ამბებში კი „ტვ პირველზე“ ვისაუბრე შავ სიებზე, ცენზურაზე, თემების დაბლოკვასა და დაბლოკვის მცდელობებზე, რაც ორი წლის განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობდა. აქვე გამოვთქვი ეჭვი, რომ რეორგანიზაცია ეთერიდან სწორედ ჩემს გასაშვებად დაიგეგმა.

ამავე საღამოს 17 თებერვალს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა ოფიციალური წერილი და უარყო ყველა ბრალდება, რომ შიდა მოკვლევის დაწყების მცდელობაც არ ჰქონიათ. დაიწყეს საჯარო პოსტებით ორგანიზებული ბულინგი. ამონარიდი განცხადებიდან: „ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს პირველი არხის მიმართ საზოგადოების ნდობა იზრდება, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი ინსტიტუციის გაძლიერება არ არის ხელსაყრელი ზოგიერთი დაინტერესებული მხარისთვის. რაზეც მეტყველებს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეპუტაციისა და იმიჯის შელახვის მიზნით წარმოებული კამპანია.

მომხდარის შემდეგ, ჩვენთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ. შეხვედრა შედგა ონლაინ 2022 წლის 22 თებერვალს. ბორდის წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია „ახალ კვირაში“ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და განაცხადეს, რომ მათთვის ძალიან მძიმე მოსასმენი იყო ის ინფორმაცია, რაც მივაწოდეთ. დაგვპირდნენ, რომ დაელაპარაკებოდნენ მენეჯმენტს და შეასრულებდნენ მედიატორის ფუნქციას''.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- იმედა დარსალიას წერილობითი ახსნა-განმარტება (ტომი 1, ს.ფ.300-304).

3.1.13. 2022 წლის 16 მარტს, მოსარჩელემ მიმართა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს და მოითხოვა ეცნობებინა რა ეტაპზე იყო

გადაცემა ახალი კვირის რეორგანიზაციის პროცესი, ამასთან სთხოვა გადაცემის ჟურნალისტების რეორგანიზაციის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთან. 2022 წლის 28 თებერვალს მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო თუ არა რაიმე სახის მოკვლევა ან წარმოება.

აღნიშნულ მიმართვაზე, 2022 წლის 19 მარტს უპასუხა მოსარჩელეს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა, რომ გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე, მიმდინარეობდა მათ მიერ საჯარო განცხადებებში მითითებული ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება/მოკვლევა, შესაძლო დისციპლინური დარღვევა/გადაცდომის ფაქტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების მიზნით. აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილი შესაბამისი ახსნა-განმარტებების შინაარსიდან გამომდინარე, მისი სრულად შესწავლის შემდეგ საკმარისი საფუძვლის/მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, დაიწყებოდა კონკრეტული პირ(ებ)ის მიმართ დისციპლინური წარმოება, რომლის ფარგლებშიც იქნებოდა მოსარჩელეც ჩართული წარმოების შესაბამის ეტაპზე. გადაცემის რეორგანიზაციის პროცესის თაობაზე კი აცნობა, რომ მიმდინარეობს გადაცემის სხვადასხვა ფორმატის დამუშავების პროცესი, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნებოდა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ამონაწერი ელ. ფოსტის მიმოწერიდან (ტომი 1, ს.ფ. 84-85).

3.1.14. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმის №01-03/22 მიხედვით (28/03/2022წ - 29/04/2022წ), იმედა დარსალიამ უხეშად დააღვია მასსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები, ლოკალური აქტები, მაუწყებლის შინაგანაწესი სოციალური ქსელის გამოყენების შესახებ, ასევე მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნები და ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მისცა ინტერვიუ. გამართა საჯარო ბრიფინგი და გააკეთა საჯარო განცხადებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

სხდომის ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მხრიდან საჯარო სივრცეში გაკეთებული დაუსაბუთებელი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების და კომენტარების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, გადაცემის

„ახალი კვირის“ წამყვანმა იმედა დარსალიამ სრულად ამოწურა თავისი რესურსი როგორც პირველი არხის გადაცემის წამყვანმა, არხის სახემ და ჟურნალისტმა. მან მოახდინა თავისი ობიექტურობის და მიუკერძოებლობის დისკრედიტაცია უშუალოდ გადაცემის, მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესების, ისევე როგორც საკითხების/თემების შეფასების მიმართ. ასევე საფრთხე შეუქმნა პირველი არხის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიის რეპუტაციას.

ყურადღება გამახვილდა იმედა დარსალიას მიერ თამარ გოგესაშვილთან მიმოწერაზე, რომლის მიხედვით იმედა დარსალია ინფორმაციას აწვდის გადაცემის მთავარ პროდიუსერს იმის შესახებ, რომ (სექტემბრის დასაწყისში) თამთა ჯანაძე და სოფო ზედელაშვილი აპირებდნენ „ხმაურით წასვლას“ და ხელფასი უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, რაზეც ასევე იმედას თქმით „მე ვუთხარი, რომ სანამ მე ვარ ამ გადაცემის წამყვანი თქვენ ამ გადაცემიდან ხმაურით ვერ წახვალთ და თუ წახვედით, მე მოვაწყობ პრესკონფერენციას და ვიტყვი, რომ თქვენ ამას წინასწარ გეგმავდით“.

გადაცემის არსებობის 4 წლიანი პერიოდის განმავლობაში ამოღებულია რამდენიმე კონკრეტული ეპიზოდი, რომლის დეტალების გარჩევამდე დავიდა საკითხი „ცენზურა“ ან „ცენზურის მცდელობა“ არის გამოყენებული ტერმინად იმის დასადასტურებლად რის უკანაც არ დგას (მათივე განმარტებით) არც რაიმე პოლიტიკური მოტივით არც ვინმეს პოლიტიკური დაკვეთა ან/და ინტერესი. ამის გათვალისწინებით ერთმნიშვნელოვნად ცდება ამ ტერმინების არასწორად გამოყენების ან საერთოდ მათი ზუსტი მნიშვნელობის ცოდნის ეჭვები, ან კიდევ უფრო უარესი - საჯარო განცხადებებში გამოყენებულ იქნა ეს ტერმინი განზრახ მაუწყებლისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენების მიზნით.

„შავი სიების“ ან არასასურველი რესპონდენტების საკითხს უპირისპირდება ამ ჩამონათვალში დასახელებული პირების თავად „ახალი კვირის“ ან პირველი არხის სხვა გადაცემებში/პროექტებში (სხვადასხვა პლატფორმაზე) მონაწილეობა, რაც ყოველგვარ საფუძველს ართმევს ამ განცხადებების რელევანტურობას.

ასევე არავითარი მტკიცებულებით არ დასტურდება აბსურდული ბრალდებები „ალტ-ინფოსთან“ გადაცემის არარსებულ დახურვასთან კავშირი, საბჭოთა კავშირის, ლუკაშენკოს რეჟიმისადმი, რუსეთისადმი კრიტიკული პოზიციების დაბლოკვა კიდევ ერთხელ ადასტურებს მისი მხრიდან დაუსაბუთებელი და

მცდარი ინფორმაციის, ამ საკითხის არასწორი აღქმის ან უარეს შემთხვევაში მიზანმიმართული გავრცელების ფაქტს.

დირექტორთა საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ფარგლებში განხილვის შედეგად, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს პირველი არხის გადაცემის „ახალი კვირა“-ს წამყვანი იმედა დარსალია გათავისუფლებულიყო დაკავებული თანამდებობიდან. ახალი და მიმდინარე ამბების გადაცემა „ახალი კვირა“ კი 2022 წლის 1 მაისიდან დახურულიყო.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი №01-03/22 (ტომი 1, ს.ფ.100-128).

3.1.15. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის №105-კ ბრძანებით იმედა დარსალია 2022 წლის 1 მაისიდან გათავისუფლდა სამსახურიდან, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- ბრძანება 29.04.2022 წ. (ტომი 1, ს.ფ. 49).

3.2. სადავო ფაქტობრივი გარემოებები

3.2.1. მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ბრძანების მართლზომიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნა ემყარება საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დადგენილი და მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას. ამიტომ, აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა მოცემულია გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (იხ. გადაწყვეტილების 6.1. პუნქტი).

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სარჩელის განხილვის, ახსნა-განმარტებების მოსმენის, მხარეთა სამართლებრივი პოზიციის, საქმეში არსებული მტკიცებულებების

გაანალიზების და ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- ევროპის სოციალური ქარტია.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, განსაზღვრულია რა ადამიანის უფლებათა ძირითადი პოსტულატები, ასევე რეგულირებული და დაცულია თანამედროვე კაცობრიობის არსებობისა და ყოფის უმნიშვნელოვანესი ელემენტი - *შრომის უფლება.* ამ საერთაშორისო დოკუმენტის 23-ე მუხლი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება; ამავე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება იღებდეს სამართლიანსა და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის შესაბამისად, ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები (როგორსაც წარმოადგენს საქართველო), აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით. ამავე საერთაშორისო სამართლის წყაროს მე-7 მუხლი ადგენს, რომ მონაწილე სახელმწიფონი აღიარებენ თითოეულის უფლებას ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელშემწყობის პირობები, მათ შორის ანაზღაურება სამართლიანი ხელფასის სახით და სხვა.

ევროპის სოციალურ ქარტიის პირველი მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ დასაქმების მაქსიმალურად სტაბილური და მაღალი დონის მიღწევასა და შენარჩუნებას; ამავე ქარტიის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მხარეები

ვალდებულებას იღებენ აღიარონ თითოეული მუშაკის მიერ დასაქმების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წინასწარი მიღების უფლება; აღნიშნულ დავასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ქარტიის 24-ე მუხლის რეგულაცია, რომლის თანახმადაც, დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში მუშაკთა მიერ დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ ყველა მუშაკის უფლება უარი თქვას დასაქმების შეწყვეტაზე „საპატიო მიზეზის გარეშე", რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მისი პროფესიული შესაძლებლობებიდან ან მოქცევიდან, ასევე საწარმოს შინაგანაწესიდან; მხარეები ასევე აღიარებენ მუშაკთა მიერ სათანადო კომპენსაციის ან სხვა შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლებას საპატიო მიზეზის გარეშე დასაქმების შეწყვეტის შემთხვევაში.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, შრომის თავისუფლებაში იგულისხმება სახელმწიფოს (მათ შორის რა თქმა უნდა სახელისუფლებო ძალაუფლების ერთ-ერთი შტოს - სასამართლო ხელისუფლების) ვალდებულება დაიცვას მოქალაქეთა შრომითი უფლებები ***(გადაწყვეტილება №2/2-389, 26.10.2007).***
მოვალეობების უხეში დარღვევის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

<u>დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს შრომითი ურთიერთობის ის სახელმძღვანელო პრინციპები, რაც ამ სამართლებრივ ურთიერთობას ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან განასხვავებს. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი და დასაქმებული (სშკ-ის მე-3 მუხლი), ამასთან, დასაქმებული ეწევა დაქვემდებარებულ საქმიანობას, ასრულებს დამსაქმებლის მითითებას სათანადო ანაზღაურების პირობით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია</u>
<u>სამუშაო პროცესი, რომელიც ორგანიზებულად წარიმართება დამსაქმებლის</u>

მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით (შრომითი ხელშეკრულება, შინაგანაწესი, საკანონმდებლო რეგულაცია და სხვა).

შრომითი ურთიერთობის სწორი სამართლებრივი რეგულაცია წარმოადგენს შრომის უფლების დაცვის გარანტს. შესაბამისად, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის უფლებათა წონასწორობას ემსახურება შრომითი ხელშეკრულების შეჩერების თუ შეწყვეტის კანონიერი საფუძვლების არსებობა. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ რეგულირებას აქვს შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისაგან *(იხ. სუსგ №ას-252-2023, 08 ივნისი, 2023 წ.).*

სამართლებრივი სტაბილურობა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ორგანული პოსტულატი, მოითხოვს, რომ მოქალაქეს ჰქონდეს მისთვის მოსალოდნელი შეზღუდვების განჭვრეტისა და ამისათვის სათანადო მომზადების შესაძლებლობა. თუმცა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს განეკუთვნება არა მხოლოდ სამართლებრივი სტაბილურობა, არამედ ასევე მატერიალური სამართლიანობაც. **აღნიშნულიდან გამომდინარე, როცა კანონმდებელმა აირჩია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის ზოგადი ფორმულირება, სასამართლოს ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეული შემთხვევის შეფასებისა და გადაწყვეტისათვის.**

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების განზოგადებას დიდი მნიშვნელობა აქვს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართალიანი ბალანსის დასაცავად. ერთი მხრივ, დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და ამით არ მოესპოს საარსებო საშუალება, ***ხოლო მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და მისთვის მიუღებელი დასაქმებულის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკი*** *(იხ: ნათია გუჯაბიძე, ქეთევან მესხიშვილი, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, თბ., 2017 წ., გვ.225.).*

კანონი არ იძლევა კონკრეტულ დეფინიციას თუ რა მიიჩნევა ვალდებულების უხეშ დარღვევად, ამდენად, ქმედების შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებათა შეფასების

საფუძველზე, დარღვევის სიმძიმის, სიხშირის, შედეგის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ფუნქციაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაა. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი, აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელი გარემოებების მართლზომიერების საკითხის შესწავლა. სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე სადავოდ ხდის მასთან მიმართებით სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 აპრილს გამოცემულ ბრძანებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ვალდებულების უხეში დარღვევის გამო. მოსარჩელის განმარტებით, მას შრომითი ხელშეკრულება არ დაურღვევია და საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაწყვეტილება გადაცემა „ახალ კვირაში“ რეორგანიზაციის შესახებ, ემსახურებოდა მხოლოდ მის გათავისუფლებას *(იხ. მოსარჩელის წერილობთი ახსნა-განმარტება ტომი 1, ს.ფ. 300-304, [„ტვ პირველთან“ ინტერვიუს დროს] „გამოვთქვი ეჭვი, რომ რეორგანიზაცია ეთერიდან სწორედ ჩემს გასაშვებად დაიგეგმა“).*

<u>სასამართლო განმარტავს, რომ გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისას სასამართლო ვერ გაცდება დამსაქმებლის მიერ გათავისუფლების საფუძვლად მითითებულ გარემოებას.</u> მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N105-კ ბრძანება, რომლითაც იმედა დარსალია 2022 წლის 01 მაისიდან გათავისუფლდა სამსახურიდან, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე *(იხ. ტომი 1, ს.ფ. 49).*

<u>შესაბამისად, კვლევის საგანია ხსენებული ბრძანების საფუძვლად</u>

<u>მითითებული ვალდებულების შესრულება ეკისრებოდა თუ არა დასაქმებულს, დადებითი პასუხის შემთხვევაში არის თუ არა იგი დარღვეული მისი მხრიდან და სახეზეა თუ არა დამსაქმებლისათვის მიყენებული ზიანი ან ამგვარი ზიანის შექმნის რეალური საფრთხე.</u>

შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის (“Good Reason“) არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ - დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია. ცხადია, ეს არ უნდა მივიჩნიოთ შეჯიბრებითობისა და პროცესუალური თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევად. მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები აქვთ. დამსაქმებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი საფუძველი ჰქონდა“ *(იხ. ილონა გაგუა „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე, თბ. 2020 წელი, გვ: 229-231; 258-259,* ***იხ. სუსგ საქმეზე Nას-949-2021, 23.12.2021წ.)***

სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის კანონიერება უნდა შეფასდეს ე.წ „პროპორციულობის ტესტით“, ვინაიდან შრომის უფლება პირის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომლის დაცვაც საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის რეგულაციაში ექცევა და ამგვარი ურთიერთობის დამსაქმებლის მხრიდან შეწყვეტა სწორედ კონსტიტუციის 26-ე მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს, თუმცა, იმის გასარკვევად, ამ ჩარევის შედეგად დაირღვა თუ არა პირის გარანტირებული უფლება, შემოწმებას ექვემდებარება ასევე უფლების დაცულ სფეროში ჩარევას გააჩნია თუ არა ლეგიტიმური საფუძველი და წარმოადგენს თუ არა ჩარევა მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებას.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხოლო ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

საფუძვლისა.

სასამართლო განმარტავს, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 47-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშაკის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციური პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და, რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში ,,Ultima Ratio“ - ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის“ *(იხ. სუსგ საქმე №ას-416-399-2016, 29 ივნისი, 2016 წელი).*

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის მე-16 მუხლი ადგენს, რომ
ჟურნალისტები და ტელეგადაცემათა წამყვანები ვალდებული არიან დაიცვან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქცევის კოდექსით დადგენილი პროფესიული სტანდარტები და ჟურნალისტური ეთიკის პრინციპები *(იხ. ტომი 2, ს.ფ.6-18).*

საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 29-ე მუხლი მე-7 პუნქტის თანახმად, ჟურნალისტმა არ უნდა შელახოს მაუწყებლის დამოუკიდებლობა საკუთარი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი

საქმიანობით და თავიდან უნდა აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი.

ამავე კოდექსის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მაუწყებელმა და მისმა თანამშრომლებმა თავიდან უნდა აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას და სამართლიანობას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სსმ-ის ჟურნალისტებმა, წამყვანებმა, პროდიუსერებმა და სხვა პასუხისმგებელმა პირებმა თავიანთი საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ სხვა არასამაუწყებლო საქმიანობით, ფინანსური ან საინვესტიციო ინტერესებით, ეჭვქვეშ არ უნდა დააყენონ მაუწყებლის მიუკერძოებლობის და სამართლიანობის პრინციპები.

ამავე კოდექსის 22.6 პუნქტის თანახმად, ჟურნალისტებს ***<u>მაუწყებლის წინასწარი თანხმობით,</u>*** შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კონკურენტი მაუწყებლის სატელევიზიო და რადიო გადაცემებში: ფაქტებთან დაკავშირებულ გადაცემაში, საკუთარ პუბლიკაციაზე ან მეცნიერულ ნაშრომზე მომზადებულ გადაცემაში, დოკუმენტურ ან საგანმანათლებლო გადაცემაში, გასართობ გადაცემაში.

22.7-ე პუნქტის მიხედვით, ჟურნალისტები არ უნდა გამოვიდნენ მოხსენებით, სიტყვით, ლექციით ისეთი ჯგუფების წინაშე, რომელმაც შეიძლება მათი მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენოს. ეს შეიძლება მოხდეს ისეთ სიტუაციაში, როდესაც მათი გამოსვლა შეიძლება რომელიმე ორგანიზაციის ან ჯგუფის მიზნების მხარდაჭერად იქნეს აღქმული.

ზემოაღნიშნული წესებიდან შეიძლება გამონაკლისის დაიშვება თუ ამით არ შეილახება მაუწყებლის მიუკერძოებლობა.

<u>სასამართლო განმარტავს, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულის სამუშაოს თავისებურებიდან უნდა განსაზღვროს ჩადენილი დარღვევის სიმძიმე და გამოიყენოს დასჯის შესაფერისი ფორმა.</u>

უდავო გარემოებაა, რომ მოსარჩელე დასაქმებული იყო სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელში გადაცემა „ახალი კვირის“ წამყვანის პოზიციაზე. იმედა დარსალიასა და სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის 2019 წლის 01

ივლისს გაფორმებული№468 ხელშეკრულების 3.3 პუნქტით დადგენილია შრომით საქმიანობაში დასაქმებულის ვალდებულებები, კერძოდ, 3.3.5 პ**<u>უნქტის თანახმად, დასაქმებული ვალდებულია არ მისცეს ინტერვიუ, არ ჩაატაროს შეხვედრები ან/და მოლაპარაკებები, რომელიც ეხება დამსაქმებლის საქმიანობას, ხელმძღვანელობის წინასწარი თანხმობის გარეშე.</u>** 3.3.9. პუნქტის თანახმად კი, დასაქმებული ვალდებულია დაიცვას დამსაქმებლის მიერ მიღებული შიდა ლოკალური აქტების, ასე ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ბრძანებების და განკარგულებების მოთხოვნები, ხელშეკრულების პირობები, უსაფრთხოების ნორმები *(იხ. ტომი 1, ს.ფ. 75-82).*

<u>როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2022 წლის 17 თებერვალს იმედა დარსალიას მიერ სხვა სამაუწყებლო ტელევიზიის მეშვეობით გავრცელდა ინტერვიუ, სადაც მოსარჩელე საუბრობდა მის გადაცემაში არსებულ „შავ სიებზე“, ცენზურაზე, კონკრეტული თემების დაბლოკვასა და დაბლოკვის მცდელობებზე, რაც ორი წლის განმავლობაში სისტემატურად მიმდინარეობდა.</u>

აღნიშნულთან დაკავშირებით, 2022 წლის 21 თებერვალს ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოსარჩელეს მიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა - თამარ შუბლაძემ, რომ მათთვის ცნობილი გახდა საჯარო სივრცეში მის მიერ გაკეთებული განცხადებები, აღნიშნულთან მიმართებაში, სთხოვა 25 თებერვლამდე წერილობით წარედგინა ახსნა-განმარტება კონკრეტული ფაქტებისა დ გარემოებების მითითებით, მათ შორის, ცენზურასთან, არასასურველი რესპოდენტების „შავ სიებთან“, სარედაქციო პოლიტიკაზე ზეწოლასთან და ,,ალტ-ინფოსთან'' დაკავშირებით.

იმედა დარსალიამ აღნიშნულთან დაკავშირებით წარადგინა ახსნა-განმარტება (იხ. მოცემული გადაწყვეტილების 3.1.12 პუნქტი, იმედა დარსალიას ახსნა-განმარტება).

2022 წლის 17 თებერვალს და შემდგომ პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბებში გადაცემის „ახალი კვირის“' ჯგუფის წევრების იმედა დარსალიას, თამთა ჯანაძისა და სოფო ზედელაშვილის მხრიდან გაკეთებული საჯარო განცხადებების და წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების გაცნობის საფუძველზე, საკითხის სრულად შესწავლის, მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის და ყველა შესაძლო მტკიცებულების მიღების

უზრუნველსაყოფად გაიმართა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორთა საბჭოს სხდომა, სადაც ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე გადაცემა „ახალი კვირის“ წამყვანი - იმედა დარსალიას, ასევე კორესპონდენტების თამთა ჯანაძისა და სოფო ზედელაშვილის მოწვევისა და მათთან გასაუბრების შესახებ. მათი მოწვევა დაევალა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსს - თამარ შუბლაძეს.

<u>თამარ შუბლაძის განმარტებით, მიუხედავად მოწვევისა დირექტორთა საბჭოსთან შეხვედრაზე გადაცემის „ახალი კვირის“ წამყვანმა უარი განაცხადა და წერილობითი კომუნიკაცია მიუთითა დირექტორთა საბჭოსთან ურთიერთობის მისთვის მისაღებ ფორმად, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად შეხვედრა არც ფიზიკურად და არც ონლაინ რეჟიმში არ შედგა,</u> მოსარჩელეს ეთხოვა წარედგინა მტკიცებულებები ახსნა-განმარტებაში გაჟღერებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაზეც იმედა დარსალიას მიერ ელ. ფოსტის მეშვეობით წარდგენილ იქნა მიმართვა დირექტორთა საბჭოს სახელზე რომელიც, როგორც საბჭოს სხდომის ოქმშია მითითებული, იმეორებდა მის ახსნა-განმარტებას და არ შეიცავდა რაიმე დამატებით ინფორმაციას ან/და მტკიცებულებას *(იხ. დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი, ტომი 1, ს.ფ.100-128, მოსარჩელის მიმართვა, ტომი 1, ს.ფ.334-339).*

<u>მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე, როგორც საჯარო განცხადებების ავტორი, არც ფიზიკურად და არც ონლაინ რეჟიმში არ ჩაერთო განხილვაში, დირექტორთა საბჭოს მხრიდან წარმოდგენილი ახსნა-განმარტებების ფარგლებში სრულად და დეტალურად მოხდა საკითხის განხილვა. სასამართლო, მოცემული დავის ფარგლებში, ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის მიერ ახსნა-განმარტებაში გაჟღერებული ფაქტების განხილვის კუთხით დირექტორთა საბჭოს შეფასებებზე:</u>

მოსარჩელის მიერ სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციების ეთერში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ გადაცემა დახურულ იქნა არალოგიკურ/უჩვეულო დროს - „შუა სეზონში“. გამოითქვა ეჭვი, რომ გადაცემის დახურვა უკავშირდებოდა ორგანიზაცია „ალტ-ინფოს“. ასევე გადაცემაში არსებულ „ცენზურასა“ და რეპოდენტების ე.წ. „შავი სიებს“, რომლებისგანაც ინტერვიუს აღება ეკრძალებოდა ჟურნალისტებს.

<u>დირექტორთა საბჭოს შეფასებით</u>, ორგანიზაცია „ალტ-ინფოს“გადაცემა „ახალი

კვირის“ ე.წ. დახურვასთან, არც ჩატარებული შეხვედრების ფარგლებში და არც წარმოდგენილ განმარტებების მიხედვით კავშირი არ აქვს. არ იყო წარდგენილი არათუ დამამტკიცებელი დოკუმენტი, არამედ რაიმე სახის უტყუარი და დასაბუთებული ინფორმაცია ამ მეტად საგანგაშო ბრალდებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ამ ორი მოვლენის „დამთხვევას“, აღნიშნული საბჭოს განმარტებით მათი „შეფასებაა“ და არა ფაქტობრივი გარემოება.

აღნიშნულზე ახსნა-განმარტება მოთხოვნილი და წარდგენილ იქნა ასევე ახალი ამბების საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი პროდიუსერის - ეკატერინე შონიას მიერ, რომელმაც კატეგორიულად გამორიცხა რეორგანიზაციასთან „ალტ-ინფოს“ ან სხვა ნებისმიერი ორგანიზაციის რაიმე კავშირი ამ გადაცემის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან. როგორც მის მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, 2021 წლის სეზონის დასრულების შემდეგ იგეგმებოდა გადაცემის რეორგანიზაცია, რაც ცნობილი იყო გადაცემის შემოქმედებითი გუნდისთვისაც, მათ შორის წამყვანისა და ზემოხსენებული კორესპონდენტებისათვის. მისი განმარტებით, 2021 წლის ბოლოს, გადაცემის შემდეგ, გადაცემის შემოქმედებით გუნდს შეხვედრისას ეცნობა რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ, მათ მიეწოდათ ასევე ინფორმაცია, რომ რეორგანიზაციის პროცესის ფარგლებში **<u>არ იგეგმებოდა არც თანამშრომელთა შემცირება,</u>** ასევე მიეწოდათ ინფორმაცია გადაცემის სამომავლო/სავარაუდო ფორმატის შესახებ, რომლის მიხედვითაც გადაცემა არ იქნებოდა მხოლოდ ერთი წამყვანით წარმოდგენილი და თითოეული სიუჟეტის ავტორი ჟურნალისტი, თავად უზრუნველყოფდა ამ სიუჟეტის ეთერში წარდგენას/პრეზენტაციას.

<u>საბჭოს მხრიდან ყურადღება გამახვილდა</u> შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ გადაცემის საპროექტო ვადა იწურებოდა 2022 წლის 01 იანვარს, თუმცა გენერალური დირექტორის 31.12.21 წლის N421-კ ბრძანებით გაგრძელებულ იქნა 2022 წლის 01 აგვისტომდე. ამდენად, დირექტორთა საბჭოს მიერ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მიერ გავრცელებული განცხადება გადაცემის დახურვის სურვილზე და არხის სარედაქციო პოლიტიკაში გარეშე პირთა (ალტ-ინფოს“ და სხვა მსგავსი ორგანიზაციები) ზეგავლენის შესახებ.

კორესპონდენტმა ბელა ზაქაიძემ, რომელიც ძირითადად ჟურნალისტური გამოძიების მიმართულებით მუშაობს, აღნიშნა, რომ მას არათუ არ განუცდია ცენზურა გადაცემის ან მაუწყებლის ხელმძღვანელთა მხრიდან, არამედ პირიქით, მის მიერ მომზადებულ სიუჟეტში არაერთხელ იქნა მხილებული

ხელისუფლების მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, სხვადასხვა სახის სამართალდარღვევაში, რის გამოც განუცდია ზეწოლა გარეშე ძალის მხრიდან, თუმცა აღნიშნული სიუჟეტები ეთერში მაინც გასულა სწორედ ეკატერინე შონიას მხარდაჭერით.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა - ქეთევან თუთბერიძემ აღნიშნა, რომ იმედა დარსალიას მიერ საჯარო გამოსვლაში ნახსენები სიუჟეტი მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის სამხედრო დანაშაულთან დაკავშირებით მისი მომზადებული იყო და დღესაც გამოხატავს გულისწყრომას მისი ეთერში არ გაშვების გამო. თუმცა აღნიშნა, რომ აღნიშნული სიუჟეტი მომზადდა 2020 წლის 10 მაისის ეთერისათვის. მისი განმარტებით, ამ სიუჟეტის გადაცემაში არ გასვლა განპირობებული იყო არა რაიმე პოლიტიკური ნიშნით, არამედ საზოგადოებრივი მაუწყებლის მაშინდელი გენერალური დირექტორის პირადი პოზიციით, რომელსაც სსრკ-ის მიერ, მეორე მსოფლიო ომში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებთან დაკავშირებული სიუჟეტის 10 მაისს (ამ კონკრეტულ თარიღში) განთავსება ამორალურად მიაჩნდა.

ქეთევან თუთბერიძის განმარტებით, მაუწყებელში ზოგადად, და მათ შორის ამ გადაცემაშიც სიუჟეტთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია მისი შეფასებით, კონტექსტიდან იყო ამოგლეჯილი, რადგან უშუალოდ სიუჟეტთან (შინაარსთან) პრეტენზიები არავის არ ჰქონდა და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი ეთერში არ გავიდა, იყო ის, რომ ეს გადაცემა ეთერში უნდა გასულიყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის (განსაკუთრებით ამ ომის ვეტერანებისათვის) ემოციური დატვირთვის მქონე დღესასწაულის 9 მაისის მომდევნო დღეს. სიუჟეტის ავტორისვე განმარტებით, საბოლოო ჯამში ამ სიუჟეტის ამ კონკრეტულ ეთერში არ განთავსებაზე გენერალური დირექტორის პირადი შეხედულებები გაზიარებულ იქნა გადაცემის გუნდის მიერაც. იგივე დაადასტურეს გადაცემის პროდიუსერებმაც, კერძოდ: ნინო კინწურაშვილმა შეხვედრისას აღნიშნა, რომ მისი გულისწყრომა გამოიწვია სსრკ-ის სამხედრო დანაშაულზე სიუჟეტის, როგორც დაბლოკილ თემად წარმოსახვამ, ვინაიდან მისი განმარტებით, ამ სიუჟეტის ეთერში არ გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა „დიდ თათბირზე“, რა დროსაც გუნდის მიერ გაზიარებულ იქნა გენერალური დირექტორის პოზიცია, ვინაიდან ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი დღის მომდევნო დღეს ამ სიუჟეტის ეთერში გაშვება მართლაც ამორალური შეიძლება ყოფილიყო და ამით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა /მათი ოჯახის/ წყენა გამოეწვია (ციტატა: „ჩვენ თავად ვაღიარეთ, რომ არ გვიფიქრია, რომ შესაძლოა ვეტერანებს ნამდვილად

ეწყინოთ მათ „დანაშაულებზე“ სიუჟეტის გაშვება“). თამარ ოდიშარიამ ამ სიუჟეტთან დაკავშირებით დაადასტურა ნინო კინწურაშვილისა და ქეთევან თუთბერიძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და განაცხადა შემდეგი: „ვასილ მაღლაფერიძემ თავისი არგუმენტებით დაგვარწმუნა, რომ 9 მაისს ეს სიუჟეტი არ გასულიყო და ჩვენც დავეთანხმეთ, რომ ალბათ კარგად არ დავფიქრდით და არ იქნებოდა ლამაზი“. ამ საკითხთან დაკავშირებით, იგივეს მიუთითებს ეკატერინე შონიაც თავის ახსნა-განმარტებაში. მისი განმარტებით, ამ სიუჟეტის ეთერში არ გასვლას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა პოლიტიკური მოტივი.

ეს გადაწყვეტილება (სიუჟეტის ეთერში არ გაშვება) ვერ მოემსახურებოდა ვერც ერთი პოლიტიკური ძალის ინტერესებს და ისიც, ისევე როგორც გადაცემის გუნდის სხვა წევრები, დაეთანხმა გენერალური დირექტორის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ არასწორი იქნებოდა მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის ან რომელიმე მოკავშირე ქვეყნის სამხედრო დანაშაულებზე სიუჟეტი, ეთერში გასულიყო 10 მაისს, ანუ ფაშიზმზე გამარჯვების დღის 9 მაისის (მაშინ როდესაც ამ დღეს თითქმის მთელი ცივილიზებული სამყარო ზეიმობს) მომდევნო დღეს. ამავე განმარტების თანახმად, ამ სიუჟეტის ეთერში 10 მაისს გაშვებას შესაძლოა დიდი იმედგაცრუება/ტკივილი გამოეწვია არამარტო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებში, არამედ იმ 700 000-ზე მეტი ქართველი ჯარისკაცის ოჯახის წევრებში (შვილები, შვილიშვილები და ა.შ.). ამ სიუჟეტის 2020 წლის 10 მაისს ეთერში არ გაშვებას მოსარჩელე აფასებს როგორც ცენზურას, რაც საბჭომ არ გაიზიარა. ვინაიდან ერთი მხრივ, არ დასტურდება რომ, ამ სიუჟეტის ეთერში არ გაშვება დაკავშირებული იყო რაიმე პოლიტიკურ ფაქტორთან, რაც ცენზურის არსებობის აუცილებელი პირობაა, ხოლო მეორე მხრივ, მისი ეთერში არ გაშვება დასაბუთებული იყო კონკრეტული არგუმენტებით, რომლებიც თავად ამ გადაცემის გუნდის მიერ იქნა გაზიარებული.

გადაცემის წამყვანი - იმედა დარსალია მაუწყებელში არსებული ცენზურის არსებობის შესახებ საუბრისას, მისივე განმარტებით, ეყრდნობა - გადაცემის სხვადასხვა თანამშრომელთა მიერ მისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, გარდა ვახო სანაიას ცემის ფაქტზე რეპორტაჟის მომზადების ეპიზოდისა. მისი განმარტებით, მას სურდა, რომ გადაცემის გუნდს მოემზადებინა რეპორტაჟი - ვახო სანაიას ცემის ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა ხელმძღვანელებისაგან მან უარი მიიღო. აღნიშნული ეპიზოდის ცენზურის კონტექსტში განხილვისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ცენზურა, როგორც ასეთი, წარმოადგენს

რაიმე ნაწარმოების/ინფორმაციის შინაარსზე და გავრცელებაზე კონტროლს, ხელისუფლებისათვის საზიანო/არასასურველი იდეებისა თუ ცნობების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცენზურა თავისი არსით ემსახურება სახელისუფლებო ინტერესებს და მიმართულია ხელისუფლებისათვის საზიანო/არასასურველი ინფორმაციის გავრცელების თავიდან აცილებისაკენ. მოცემულ შემთხვევაში, ჟურნალისტ ვახო სანაიას ცემის ფაქტს (რაც უდავოდ სამწუხარო და გასაკიცხი ფაქტია), საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც სატელევიზიო და რადიო ეთერის, ასევე ონლაინ პლატფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო და იგი გაშუქდა ყველა საინფორმაციო გადაცემის ფორმატში. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტის შესახებ რეპორტაჟის მომზადების სურვილზე, გადაცემის ხელმძღვანელთა მხრიდან უარი არ შეიძლება შეფასდეს როგორც ცენზურა. გადაცემის ხელმძღვანელთა უარს ამ სიუჟეტის მომზადებაზე, ცენზურის ნიშნები შეიძლება ჰქონოდა თუ ეს ფაქტი მაუწყებლის მხრიდან საერთოდ არ გაშუქდებოდა. საყურადღებოა და კიდევ უფრო მეტად გამორიცხავს ცენზურის არსებობის შესაძლებლობას ის ფაქტიც, რომ მაშინ, როდესაც გადაცემის წამყვანმა გამოხატა ვახო სანაიაზე თავდასხმის შესახებ სიუჟეტის მომზადების სურვილი, იმ დროისათვის ეს ფაქტი, არაერთხელ იყო გაშუქებული თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ და ჟურნალისტზე თავდამსხმელებიც დაკავებული იყვნენ შესაბამისი ბრალდებით, ამდენად მისი გაშუქება არათუ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების ინტერესებს, არამედ პირიქით, იგი ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა.

ასევე ამავე ნაწილში იყო ფაქტების დამახინჯების მცდელობა („გემბლინგის“ პრობლემაზე სიუჟეტი), რომლის შემსწრე მაუწყებლის სხვა თანამშრომლებთან ერთად და ამასთან დაკავშირებით არსებული მწვავე განხილვების მონაწილე იყვნენ საბჭოს წევრებიც და განსაკუთრებული განხილვის გარეშეც საბჭოსათვის ნათელი გახდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა რეალობის არასწორად წარმოჩენის მცდელობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, სიუჟეტში საუბარი იყო ერთ ფაქტორზე, კერძოდ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტს არ სურდა იმ ფორმით გასულიყო რეპორტაჟში რა ფორმითაც იყო გადაღებული, ვინაიდან, გადაღებული იყო პირველი არხის გარდაცვლილი ჟურნალისტის უშუალოდ პანაშვიდის პროცესი, რაც არ მიიჩნია გადაცემის პროდიუსერმა საჭიროდ.

<u>იმედა დარსალიას კიდევ ერთი ბრალდება, რასაც მიუთითებდნენ გადაცემის</u>

წამყვანი კორესპონდენტები - თამთა ჯანაძე და სოფო ზედელაშვილი, იყო ე.წ. „შავი სიები“ (თამთას და სოფოს შემთხვევაში - „არასასურველი რესპონდენტები“). „ახალი კვირის“ ჯგუფთან შეხვედრაზე ქეთი თუთბერიძემ თავადაც ისაუბრა ხსენებულ ე.წ. „შავ სიებზე“. კერძოდ, მან აღნიშნა: „2021 წლის აპრილში ჩემი იმედასთვის გაგზავნილი მესიჯი, როდესაც ის თინათინ ბერძენიშვილს შეხვდა. ეს თიკოსთან პირად საუბარშიც ვისაუბრე ამ თემაზე. ის სქრინი დაახლოებით იმ თარიღით თარიღდება, რა დროსაც დაახლოებით შედგა მათი პირველი შეხვედრა. იმედა დარსალიამ გადაწყვიტა, რომ როგორც ჩვენი გადაცემის „ელჩი“ წარგზავნილი შესულიყო ახალ დირექტორთან და მასთან განეხილა ყველა ის პრობლემა, რაც თითოეულ ჩვენგანს აწუხებდა“. „შავი სიები“ არის მეტაფორული და პირობითი სახელი, რესპონდენტები, რომლებიც რაღაც კონკრეტულ შემთხვევაში დაიბლოკნენ. აბსოლუტურად ყველა მათგანი მე მყავს ჩაწერილი და გულწრფელად გეტყვით, რომ მე ძალიან მეწყინა, როდესაც ეს ადამიანები სხვა მედიებმა ჩაწერეს და არსად არ ითქვა, რომ ჩვენ გვეწერებოდნენ. ამ ადამიანებმა არ თქვეს“...ე.წ. „შავ სიებთან“ დაკავშირებით. გადაცემის როგორც ყოფილი (ნინი კინწურაშვილი) ასევე ამჟამინდელი მთავარი პროდიუსერი (თამარ გოგესაშვილი) და პროდიუსერი (თათა ოდიშარია) კატეგორიულად უარყოფენ რაიმე სახის მსგავსი სიების ან/და აკრძალული რესპონდენტების არსებობას. მათთან შეხვედრაზე არაერთხელ იყო აღნიშნული რომ იმედას მიერ გაჟღერებულ ჩამონათვალში არსებული პირები ყველა მათგანი ჩაწერილი ჰყავს პირველ არხს და მეტიც - „ახალ კვირას“ და მოყვანილი აქვთ კონკრეტული მაგალითები.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზედაც სამივე ახსნა-განმარტებაშია მითითებული არის „პოლიტიკა გადაცემაში“. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე, რომ გადაცემის შემქმნელი და ამავე დროს ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მთავარი პროდიუსერი ეკატერინე შონია თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს შემდეგს: „გადაცემა „ახალი კვირა“, 2018 წელს, ჩემი ინიციატივით და ჩემი სრული ჩართულობით შეიქმნა არხზე და მისი წამყვანი - იმედა დარსალია ასევე ჩემი ინიციატივით იყო მოწვეული აღნიშნულ გადაცემაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაცემა არასოდეს ყოფილა არავის საავტორო პროექტი, განსაკუთრებით მისი წამყვანის - იმედა დარსალიას საავტორო გადაცემა. „ახალი კვირის“ გადაცემის ფორმატი გულისხმობდა ჟურნალისტების მიერ რეპორტაჟების მომზადებას და წამყვანის - ი. დარსალიას მიერ ამ მომზადებული რეპორტაჟების წარდგენას. უშუალოდ გადაცემის ჟანრი/თემატიკა დღესაც საჯაროდ განთავსებულია მის აღწერილობით ნაწილში, რომელიც არხის ვებ-გვერდზეა (1tv.ge)

განთავსებული: რეპორტაჟები შემეცნებით, სოციალური და კულტურულ თემებზე, კონკრეტული ადამიანების მიღწევების და საქმიანობის, ეთნიკური ჯგუფებისა და მათი ტრადიციები, უცხო ქვეყნების კულტურული ცხოვრების შესახებ“ *(იხ. ეკატერინე შონიას ახსნა-განმარტება, ტომი 1, ს.ფ. 317-324).*

ამავე შინაარსის განმარტებას აკეთებენ გადაცემის პროდიუსერებიც, მეტიც „ახალი კვირის“ შექმნის მომენტიდან მისი მთავარი პროდიუსერი ნინო კინწურაშვილი საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ამ გადაცემაში, მისი განმარტებით, ეს იყო მიზეზი, რატომაც ის დათანხმდა ამ გადაცემაში სხვა სამაუწყებლო კომპანიიდან გადასვლაზე. ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე პოლიტიკური თემები პერიოდულად „შემოდიოდა“ გადაცემაში, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ „პოლიტიკა დაბრუნდა“, რადგან თავიდანვე გადაცემის ფორმატი ამას არ ითვალისწინებდა.

ცალკე უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ იმედა დარსალიას განმარტებით მითითებულ „საუკეთესო დროს“ მოხსენებულ პერიოდში გადაცემა საერთოდ არ გადიოდა ეთერში ოლიმპიადის ეთერში განთავსების გამო და ეს კიდევ ერთი ფაქტობრივი უზუსტობაა მოყვანილ გარემოებებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, საბჭომ ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივ მაუწყებელში (და არამარტო), მის თითოეულ გადაცემასა და გუნდში არსებულ სუბორდინაციულ ფაქტორებზე. კერძოდ იმაზე, რომ გადაცემის როგორც ზოგად, ისე კონკრეტულ პოლიტიკას/მიმართულებას განსაზღვრავს საამისოდ უფლებამოსილი პირი, კერძოდ კი პროდიუსერი/მთავარი პროდიუსერი, რომელიც ანგარიშვალდებულია მისი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, შესაბამისად, თითოეული სიუჟეტის მომზადებასა და მისი ეთერში გაშვებაზე საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ მათ უნდა მიიღონ და ამ გადაწყვეტილების ფორმირებისათვის საკმარისი არაა მხოლოდ ამა თუ იმ ჟურნალისტის (ეს იქნება წამყვანი თუ კორესპონდენტი) სურვილი. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც კანონის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციის კანონით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების, მისი ვალდებულებების გათვალისწინებით, საბჭოს მიაჩნია რომ ყველა ის შემთხვევა, სადაც საუბარია „ცენზურაზე“, ყველა დეტალის გარჩევის შემდეგ აშკარად იკვეთება რუტინული სამუშაო პროცესების კომპონენტები, რომლებსაც აქვს თავისი საფუძველი და ახსნა - გადაცემის თემების მოცვა, გადაცემის განსაზღვრული

ფორმატთან/სტრუქტურასთან შესაბამისობა ობიექტურობის პრინციპისა და ბალანსის დაცვა და ა.შ. - რაც არ შეიძლება შეფასდეს როგორც „ცენზურა“ ან/და „ცენზურის მცდელობა“.

თავად მოსარჩელის განმარტებით, პროდიუსერი მასთან ერთად გეგმავდა გადაცემაში რა თემები უნდა გასულიყო, შემდეგ ხდებოდა გუნდთან ერთად განხილვა და შეთანხმება ***(იხ. 21.12.2023 წლის სხდომის ოქმი - 14:36:05სთ.)***. ამდენად, აღნიშნული განმარტებებიდან დგინდება, რომ მოსარჩელის, როგორც გადაცემის წამყვანის ერთმნიშვნელოვან ფუნქციას არ წარმოადგენდა იმ თემების შერჩევა, რომელზეც უნდა მომზადებულიყო სიუჟეტები თუ რეპორტაჟები, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები იყო გადაცემის მთავარი პროდიუსერი, შესაბამისად, მისი და გადაცემის წამყვანის მოსაზრებები შესაძლოა ყველა შემთხვევაში და ყველა საკითხში თანხვედრაში არ ყოფილიყო, თუმცა აღნიშნული არ იძლევა საკითხის ცენზურად შეფასების საფუძველს. საქმის მასალებში წარმოდგენილია დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც დეტალურადაა გამოკვლეული თითოეული საკითხი, რაზეც პრეტენზია განაცხადეს არა მარტო მოსარჩელემ არამედ მისმა ორმა ჟურნალისტმა, თავად მოსარჩელეს განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და წერილობითი ახსნა-განმარტების გარდა რაიმე მტკიცებულება საკითხის დასადასტურებლად არ წარუდგენია.

დირექტორთა საბჭოს 29.04.2022 წლის სხდომაზე საკითხის განხილვისას კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებებს, კერძოდ, იმედა დარსალიამ უხეშად დააღვია მასსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები, ლოკალური აქტები, მაუწყებლის შინაგანაწესი სოციალური ქსელის გამოყენების შესახებ, ასევე მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნები და ხელმძღვანელობასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მისცა ინტერვიუ. გამართა საჯარო ბრიფინგი და გააკეთა საჯარო განცხადებები საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. სხდომის ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ მოსარჩელის მხრიდან საჯარო სივრცეში გაკეთებული დაუსაბუთებელი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების და კომენტარების შემდეგ, უპირველეს ყოვლისა, გადაცემის „ახალი კვირის“ წამყვანმა იმედა დარსალიამ სრულად ამოწურა თავისი რესურსი როგორც პირველი არხის გადაცემის წამყვანმა, არხის სახემ და ჟურნალისტმა. მან მოახდინა თავისი ობიექტურობის და მიუკერძოებლობის დისკრედიტაცია უშუალოდ გადაცემის, მასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესების, ისევე როგორც საკითხების/თემების შეფასების მიმართ. ასევე

საფრთხე შეუქმნა პირველი არხის, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედიის რეპუტაციას.

შრომითი ხელშეკრულების, შრომის შინაგანაწესისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის დანაწესებზე დაყრდნობით, სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას, რომ იმედა დარსალიასთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ვალდებულების ისეთ დარღვევას, რაც შესაძლოა შეფასდეს ვალდებულებათა უხეშ დარღვევად, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოპასუხე კომპანიის შინაგანაწესის 8.1.5. მუხლი ითვალისწინებს დასაქმებულის ვალდებულებას არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც შეაფერხებს დამსაქმებლის მუშაობას და შელახავს მის ავტორიტეტს.

მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ იმედა დარსალიას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემის წამყვანის მხრიდან მის საქმიანობასთან დაკავშირებით გაჟღერებული ინფორმაცია, რომლის დადასტურებაც საკითხის მოკვლევის ფარგლებში ვერ მოხდა, ერთმნიშვნელოვნად ზიანის მომტანი იქნებოდა მოპასუხის რეპუტაციისთვის, ვინაიდან მისი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციაა გამოიკვლიოს, ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქოს ყველა სიახლე, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მოვლენები, ნეიტრალურად გააშუქოს საკამათო საკითხებზე არსებული საპირისპირო პოზიციები.

განსახილველ შემთხვევაში, კვლევის საგანია ისეთი ვალდებულების დარღვევა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იწვევს მხარეთა შორის ნდობის დაკარგვას. სასამართლო მიიჩნევს, რომ შრომითი ვალდებულების დარღვევის ჩადენის სიმძიმის გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი შეფასება შედეგობრივი თვალსაზრისით, რათა დადგინდეს, თანაზომიერი იყო თუ არა დამსაქმებლის მიერ, დასაქმებულის მხრიდან დარღვევის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტა.

კანონით დაშვებულია მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში განისაზღვროს სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები, რაც თავის მხრივ გამომდინარეობს კონკრეტული სამუშაოს სპეციფიკიდან, ემსახურება დამსაქმებლისათვის კანონიერი მიზნის მიღწევას და წარმოადგენს მის მისაღწევად პროპორციულ საშუალებას. სსიპ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს

კერძო სამართლის სუბიექტის სახით, ჰქონდა კანონის საფუძველზე მინიჭებული უფლება დაედგინა სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულებისთვის გარკვეული მოთხოვნები როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულებით, ასევე, შინაგანაწესით თუ სხვა შიდა რეგულაციის ქცევის წესით, რომელიც წარმოადგენს შრომის ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

მოცემულ შემთხვევაში ამგვარი მოთხოვნებია ასახული დასაქმებულთან დადებულ შრომის ხელშეკრულებასა თუ სხვა შიდა ლოკალურ აქტებში. მოპასუხის მიერ წარმოდგენილია ამგვარი მოთხოვნების კანონიერი მიზანიც - სანდო, მიუკერძოებელი და ობიექტური მედიაპროდუქტის შექმნაა. მისი მითითებით, დამსაქმებლის საქმიანობასთან დაკავშირებით ინტერვიუს მიცემის, შეხვედრების ან/და მოლაპარაკებების ჩატარებისთვის საჭიროა ხელმძღვანელობის წინასწარი თანხმობა.

<u>საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოსარჩელემ საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდაორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო განცხადების გაკეთებამდე მიიღო ასეთი თანხმობა, ამასთან, მისი მხრიდან გაჟღერებული ინფორმაციის სისწორე არ იქნა დადასტურებული საკითხის მოკვლევის პროცესში. დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმში მოცემული საკითხის განხილვის დეტალების გარდა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსარჩელე თავისივე ახსნა-განმარტებაში აღიარებს, რომ ეკატერინე შონიასთან გადაცემის გუნდის შეხვედრის დროს, სადაც „მან პირდაპირ დასვა შეკითხვა, ვინ ამბობს, რომ თემების „დაბლოკვას“ ვცდილობო, იქ თითქმის ყველა ჟურნალისტმა უარყო მსგავსი ფაქტები, მათ შორის იმანაც, ვინც ორი დღის წინ მთხოვდა, იქნებ, დაბლოკვის პრობლემა მოგვარებულიყო. საბოლოოდ, ორი ჟურნალისტის გარდა დაბლოკვის ან ცენზურის მცდელობის ფაქტი არავის დაუდასტურებია“.</u>

<u>სასამართლო განმარტავს, რომ დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია ორგანიზაციების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მედია თავისუფლების ფარგლებში თითოეული მაუწყებელი თავად განსაზღვრავს ამ მხრივ სტრატეგიას და შესაბამისად, იმ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც მედიის გადაწყვეტილებით ქმნის იურიდიული პირის საქმიან რეპუტაციას. დასახელებული მიზნის მისაღწევად კანონი მაუწყებელს სწორედ ამ სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით</u>

<u>აძლევს შესაძლებლობას დააწესოს კომპანიაში დასაქმებული პირებისათვის გარკვეული მოთხოვნები, მათ შორის ჟურნალისტებისათვის, რომლებსაც აკისრიათ მომეტებული პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე და აღნიშნული არ წარმოადგენს დისკრიმინაციას.</u>

ამ მხრივ დაწესებული მოთხოვნები სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც დამსაქმებლის მხრიდან ასახულია როგორც შრომის ხელშეკრულებაში, ასევე მაუწყებლის ქცევის კოდექსში.

სასამართლო ასევე იზიარებს მოსარჩელის სხდომაზე განვითარებულ მსჯელობას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობასთან მიმართებით დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებასა თუ განვითარებაში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვა, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია.

ამასთან სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს არ წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით დაცული სიკეთის ხელყოფა, არამედ სარჩელი აღძრულია შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებათა დარღვევის საფუძვლით. იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ სასამართლო ვერ გასცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და ასევე ბრძანებაში აღნიშნულ გარემოებებს.

<u>სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა, მის მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია</u>

<u>დაედასტურებინა მტკიცების მაღალი სტანდარტით, რომელიც ნებისმიერ ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მის უტყუარობაში. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, მოსარჩელის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე არ დასტურდება, მოსარჩელის მხრიდან გავრცელებულმა ფაქტებით დაუდასტურებელმა ინფორმაციამ კი ერთმნიშვნელოვნად გამოიწვია დამსაქმებლის დისკრედიტაცია.</u>

<u>დასაქმებულის არაერთჯერადი ქმედება</u> - რაც ასახულია მოპასუხის წერილობით დასაბუთებაში და დადგენილია უდავო ფაქტობრივი გარემოებებით, მისი სიხშირის, და შესაძლო შედეგების გათვალისწინებით, დარღვევასა და გათავისუფლებას შორის, ზომიერ ბალანსს ქმნიდა, რაც საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისა და მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების ლეგიტიმური საფუძველი იყო. ამასთან, გაკეთებულ განცხადებების შინაარსთან დაკავშირებით, დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის აზრთა თანხვედრის არარსებობის პირობებში, სასამართლო იზიარებს მოპასუხის პოზიციას მასთან მიმართებით, რომ სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენება არ იქნებოდა შედეგის მომტანი და არ იყო მიზანშეწონილი.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ მოსარჩელე მხარის მიერ ყურადღება გამახვილდა <u>დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადებზე,</u> კერძოდ, შინაგანაწესის 15.6 მუხლზე მითითებით, კერძოდ, იმედა დარსალიას მიერ 2022 წლის 17 თებერვალს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით 2022 წლის 19 მარტს შესაბამისი დისციპლინური ღონისძიება უნდა ყოფილიყო მიღებული *(მოპასუხის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იმედა დარსალიას მიერ 17.02.2022წ. გაკეთებული საჯარო განცხადების შესახებ, ეთერში გასვლის შემდეგ, დაახლოებით მომდევნო დღეს შეიტყვეს. - იხ. 21.12.2023 წლის სხდომის ოქმი - 14:18:03 სთ.).* ამ მიმართებით საგულისხმოა მოპასუხის 2022 წლის 19 მარტის მიმართვა, სადაც საუბარია, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე, მიმდინარეობდა მოსარჩელის მიერ საჯარო განცხადებებში მითითებული ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება/მოკვლევა, შესაძლო დისციპლინური დარღვევა/გადაცდომის ფაქტების გამოვლენისა და მათზე

რეაგირების მიზნით. აღნიშნული მოკვლევის ფარგლებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილი შესაბამისი ახსნა-განმარტებების შინაარსიდან გამომდინარე, მისი სრულად შესწავლის შემდეგ საკმარისი საფუძვლის/მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, დაიწყებოდა კონკრეტული პირ(ებ)ის მიმართ დისციპლინური წარმოება, რომლის ფარგლებშიც იქნებოდა მოსარჩელეც ჩართული წარმოების შესაბამის ეტაპზე *(იხ. ტომი 1, ს.ფ. 84-85).*

მოსარჩელე განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული მიმართვის თარიღიდანაც კი გასული იყო ერთთვიანი ვადა, ამასთან, სანქციის შეფარდებისთვის დამსაქმებელმა გამოიყენა კონკრეტულად შინაგანაწესის მე-16 მუხლი, რომელშიც დამატებითაა განსაზღვრული რეგულაციები, მასში სანქციების კონკრეტული ზღვრებია გათვალისწინებული და არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს გათავისუფლებას, ამდენად, დისციპლინური მოქმედების პერიოდში მხარეს ჰქონდა მოლოდინი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედება შესაბამისი იქნებოდა შინაგანაწესის მე-16 მუხლის დანაწესთან, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლებას *(იხ. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტება 21.12.2023 წლის სხდომის ოქმი - 16:15:45 სთ.).*

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის შრომის შინაგანაწესის 15.6 პუნქტის თანახმად, შრომის დისციპლინის დარღვევისას დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველია წერილობითი ახსნა-განმარტება ან მისი უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი. დისციპლინურ სანქციას დასაქმებულს შეუფარდებს გენერალური დირექტორი შესაბამისი ბრძანებით. დისციპლინური სანქცია დასაქმებულს უნდა ***შეეფარდოს არა უგვიანეს 1 თვისა, მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან.***

მოპასუხე მხარე არ ეთანხმება მოსარჩელის მითითებას აღნიშნული ერთთვიანი ვადის დარღვევის თაობაზე და განმარტავს, რომ შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა აითვლება დასაქმებულის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლენის დღიდან, აღნიშნული თარიღი კი მოცემულ შემთხვევაში დადგა მაშინ, როდესაც დირექტორთა საბჭომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ გავრცელდა მცდარი ინფორმაცია, რომელმაც რეპუტაციული ზიანი მიაყენა მოპასუხეს. მხოლოდ განცხადების გაკეთება არ ნიშნავდა შრომის დისციპლინის დარღვევას, კვლევას საჭიროებდა აღნიშნული განცხადების საფუძველზე დარღვევა მოხდა განმცხადებლის მიერ

ცრუ ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოებრივ მაუწყებლისთვის ზიანის მიყენებით, თუ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იყო სინამდვილე *(იხ. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტება 21.12.2023 წლის სხდომის ოქმი - 14:20:41სთ.)* .

ის გარემოება, რომ დამსაქმებელი მალევე დაინტერესდა აღნიშნული ფაქტის გამოძიებით დასტურდება ელ. ფოსტის მიმოწერებით, რომლითაც მოსარჩელეს ეთხოვა მის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების საფუძვლად მითითებული გარემოებებისა და ფაქტების დამსაქმებლისათვის წარდგენა 2022 წლის 21 თებერვალს. *(იხ. ტომი 1, ს.ფ. 92-94).* 2022 წლის 19 მარტს დამსაქმებლის მიერ განემარტა მოსარჩელეს, რომ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, გენერალური დირექტორის დავალების საფუძველზე, მიმდინარეობდა მათ მიერ საჯარო განცხადებებში მითითებული ფაქტების შესახებ ინფორმაციის მოძიება/მოკვლევა. აღნიშნული საკითხის განხილვის მიზნით, როგორც დირექტორთა საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, სხდომები ტარდებოდა 28/03/2022 წლიდან 29/04/2022 წლის შუალედში (28/03/2022წ; 31.03.2022წ; 04.04.2022წ; 14.04.2022წ; 14.04.2022წ. 18.04.2022წ.; 26.04.2022წ.)

სასამართლო იზიარებს მოპასუხის განმარტებას იმ კუთხით, რომ საკითხი, რომლითაც უნდა დადგენილიყო მოხდა თუ არა მოსარჩელის მხრიდან შრომის ხელშეკრულებითა და შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა და გამოიწვია თუ არა აღნიშნულმა ქმედებამ მოპასუხე მხარისთვის ზიანის მიყენება, ითვალისწინებდა ფუნდამენტურ შესწავლას, მით უფრო, მოპასუხე დაწესებულების ფუნქციისა და მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიციის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელიც არ იყო სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის რიგითი თანამშრომელი, არამედ ეკავა გადაცემა „ახალი კვირის“ წამყვანის პოზიცია, გადაცემა გადიოდა ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ დროს ეთერში და მის რესპონდენტებს წარმოადგენდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, ამდენად, შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის ათვლაც ფაქტის დადგენიდან უნდა მომხდარიყო, როგორც ამას მოპასუხე მხარე განმარტავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს ფაქტს, რომ ადგილი ჰქონდა იმედა დარსალიას მიერ ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევას, რაც გამოიხატა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის არასწორი,

დაუდასტურებელი ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებაში, შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ იმედა დარსალიას გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს.

6.2. მოსარჩელე ასევე ითხოვს დაევალოს სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ მოსარჩელის - იმედა დარსალიას სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი და მიმდინარე ამბების გადაცემა „ახალ კვირაში“ წამყვანის თანამდებობაზე აღდგენა, ასევე იმედა დარსალიას სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, მისი გათავისუფლებიდან, კერძოდ, 2022 წლის 01 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე, ყოველთვიურად დარიცხული 4375 ლარის ოდენობით დაკისრებას.

საქართველოს შრომის კოდექსის 48-ე მუხლის მე-8 ნაწილით თანახმად, სასამართლოს მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. ამავე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, დასაქმებულს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ პირვანდელ ან ტოლფას სამუშაო ადგილზე აღდგენის ან მის ნაცვლად დაკისრებული კომპენსაციის გადახდის გარდა, მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების თარიღამდე. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ამ მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისთვის მიცემული კომპენსაცია.

აღნიშნული ნორმების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, სასამართლო განმარტავს, რომ სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ შედეგს.

განსახილველ შემთხვევაში მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს 2022 წლის 17 აპრილის ბრძანების ბათილად ცნობა, ხოლო რამდენადაც აღნიშნულ ნაწილში

სარჩელი არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ იმედა დარსალიას სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება მიიჩნია მართლზომიერად, არ არსებობს სამსახურში აღდგენის და იძულებითი განაცდურის, როგორც დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თანმდევი სამართლებრივი შედეგის, დაკმაყოფილების სამართლებრივი წინაპირობები.

6.3. სარჩელით მხარე ასევე შუამდგომლობდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიქცეული ყოფილიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად სასამართლო მოკლებულია იმსჯელოს გადაყვეტილების დაიუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საკითხზე.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს: ა) ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა“ , „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3%-ს , მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, გარდა ამავე კოდექსის 187[3] მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არაქონებრივ დავაზე შეადგენს 100 ლარს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელისა - გადასახდელი თანხით.

ამავე კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლებს, მე-2 ნაწილით კი ადგენს, რომ კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

,,სახელმწიფო ბაჟის შესახებ “ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ

საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ,, ფიზიკური პირები - სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან“.

მოცემულ შემთხვევაში იმედა დარსალიას მოთხოვნებს წარმოადგენდა გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის კუთხით, როგორც არაქონებრივ დავასთან მიმართებით, მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი - 100 (ასი) ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში კი, გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. დარჩენილ ნაწილში მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 37-ე, 38-ე, 39-ე, მე-40, 41-ე, 46-ე, 55-ე, 243-244-ე, 248-249-ე, 257-ე, 259[1], 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. იმედა დარსალიას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

2. სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე **თინა ვაშაყმაძე**